№ 202

1877—1905

№ 202

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

პარასკევს, 11-ს ნოემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ბაქოს გუბერნატორად ნამყოფის ტაინი სოვეტნიკის

თავ. მიხეილ ალექსანდრეს ძის ნაკაშიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10½ საათზე.

კვირას, 14 ნოემბერს 1905 წ., [illegible] ღვთის-მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქმნება წლის წირვა და ძეგლის კურთხევა, უდროვოდ გარდაცვალებულის

თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად. აუწყებენ რა დანი მისნი **ელისაბედ დავითის ასული ნატროევისა, ალექსანდრა, ანასტასია და მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი და ბარბარე დავითის ასული ვაჩნაძისა,** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, პატივი სცენ და მობრძანდნენ. ცალკე წერილებით პატიჟი არ იქნება. (2—2)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 5.
ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:
ვლ. ალექსი-მესხიშვილის და **ს. მ. რომანიშვილის** მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
I
ძალა ცოდნაშია
პიესა 3 მოქმ., თხზ. ფილიპსის.
II
ქურდი
კომ. 1 მოქ. მირბოსი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ე. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.**
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
პარასკევს, 11 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება
ტრავიატა
ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა, თარგმანი გუტხეილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნ გაშანსკაია, კარპოვა, ზასლავსკაია; ბ ნნი კოლოტოვი, ევლახიშვილი, ტამაშევიჩი, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
შაბათს, 22 ნოემბერს ჩვეულებრივი ფასებით წარმოდგენილი იქნება „ზაზა“ ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ლეონკოვალლოსი, თარგმანი გორჩაკოვისა.
წარმოსადგენად მზადდება „ჩერევიჩკი“, ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ჩაიკოვსკისა, „გეიშა“ ოპერეტტა სიდნეი ჯონსისა, ფიგაროს ქორწინება, მოცარტისა.
ბილეთები იყიდება.

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.
რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. ცალ-ცალკე—სამ სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 კ. ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ. მოზრდილთათვის 25. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად.
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.
რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

თანხმად ტრაქტირებზე გადასახადთა დებულების 34 და 41 § სა **ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის მეტრაქტირეებს გამოცხადდნენ** გამგეობის შენობაში 1906 წლის **ხარჯის** გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

უნდა გამოცხადდნენ შუადღის 12 საათზე შემდეგს, დღეებში: ტრაქტირისა და დუქნების პატრონები—ნოემბრის 8 ს, სასტუმროების პატრონები—ნოემბრის 9-ს, რესტორანებისა, ბუფეტებისა და საკანდიტეროებისა—ნოემბრის 10 ს, ლუდხანებისა—ნოემბრის 11-ს, ღვინით მოვაჭრენი და სარდაფების პატრონები—ნოემბრის 12-ს, მოწყობილ სახლებისა, კუხმეისტრებისა, ყავახანებისა და საჩაის პატრონები—ნოემბრის 13-ს, სანოვაგით მოვაჭრენი—ნოემბრის 14 ს და ბაკების პატრონები — ნოემბრის 15-ს — 1905 წლისა.

სტუდენტი-უნივერსანტი
ეძებს გაკვეთილებს ან რამე საქმეს.
ალექსეევის ქუჩა № 10.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ჟ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ნ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **მ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 **ხუთხეში** ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნის ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარება

—

დღევანდელ ისტორიულ მომენტის ერთი დამახასიათებელი თვისებაა პოლიტიკურ პარტიების ახალ პოზიციების განსაზღვრა, მათ შორის ახალ საურთიერთო განწყობილების გარკვევა. ამ პროცესის მთავარი მიმდინარეობაა ის, რომ რევოლუციონური პარტიები უფრო მედგრად მიდიან წინ, ზომიერები კი უფრო და უფრო უკან იხევენ. ეს მოვლენა უნდა აიხსნას იმ პოლიტიკურ ცვლილებების გამოცხადებით, რომელიც აღნიშნულია 17 ოქტომბერს გამოცემულ მანიფესტში.

იყო დრო, როცა არავისა სჯეროდა, თუ რუსეთის ისტორიული განვითარება წარმოშობდა როდისმე ლიბერალურ მოძრაობას. რუსეთის ლიბერალიზმი ყოველთვის იყო—და სამართლიანადაც—ყბად აღებული და წყალ-წაღებული. ლიბერალებს საანეკდოტოდ თუ ახსენებდა ვინმე, თორემ სერიოზულად მათზე არავინ ლაპარაკობდა. ეს გარემოება აღაფრთოვანებდა სლავიანოფილებს და საგონებელში აგდებდა რევოლუციონერებს. [illegible] დო აზრი იყო, რომ რუსეთის ბურჟუაზია ვეროდეს ვერ შეასრულებდა იმ როლს, რომელიც შეასრულა წარსულ საუკუნეში მისმა დასავლეთის თანამოძმემ. უფრო მეტიც: რევოლუციონერები ფიქრობდნენ, რომ რუსის ლიბერალიზმი, თუნდაც მოევლინოდა ქვეყანას, იგი უეჭველად იქნებოდა მკვდრად დაბადებული.

როდესაც—ამ უკანასკნელ წლებში—პროლეტარიატის გოლიათურმა შენძრევამ შეარყია მთელი სახელმწიფო,—ლიბერალიზმი, თავით-ფეხებამდე შეიარაღებული, უცბად მოევლინა ქვეყანას, როგორც მინერვა, იუპიტერის თავიდან გამოფრენილი. ლიბერალებმა ფეხი გამოჰყვეს, წინ გამოიჭიმნენ, წამოაყენეს მთელი რაზმები და დასცეს განგაში: მოვდივართ, მოგვიხარიან, თან მოგვაქვს კონსტიტუცია.

იმათ მუშა ხალხი უკანიდან მუჯლუგუნსა სცემდა და ლიბერალები ამას არამც თუ არ თაკილობდნენ, — პირიქით, სიხარულით მაღლა-მაღლა ხტოდნენ და გაჰკიოდნენ: „გაუმარჯოს ჩვენს (ე. ი. ბურჟუაზიის) მცირე მოძმეებთან ერთობა-მეგობრობასო!“ ლიბერალები არცა ხუმრობდნენ. იმათ კრებებზე, იმათ ნალაპარაკევში მართლა ისმოდა მოქალაქობრივი ხმები, იმათ სახეზე მართლა კითხულობდით მოქალაქობრივ გამბედაობას.

მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა ძალიან სწრაფად. გაოცებულმა ქვეყანამ ვერც კი მოასწრო დანახვა ლიბერალებისა სამოქმედო ასპარეზზე, რომ ისინი უკვე მიძვრებიან თავიანთ სოროებში, სადაც შესავალ კარზევე აწერია: თანდათანობა, „მოთმინებითი შეგუება“, სიფრთხილე, გონიერება.

თუ გუშინ ლიბერალები აღტაცებით ტაშს უკრავდნენ მუშათა საზოგადო, პოლიტიკურ გაფიცვას და სამადლობელ ადრესებს უგზავნიდნენ მუშათა ორგანიზაციების კომიტეტს, დღეს იგინი უკვე ლაპარაკობენ საზოგადო გაფიცვის მავნებლობაზე, მშვიდობიანობისა და წესიერების მშვენიერებაზე.

ერთის სიტყვით, ლიბერალებმა დაჰყარეს ფარხმალი, იმათ წაუხდათ „რეჩი“ და მხოლოდ ორ სიტყვას ლა ლუღლუღებენ: „осторожно, осторожно, господа!“ რა მოხდა ისეთი, რამ გადასტეხა ლიბერალების ხმალი, რომელიც ქარქაშიდან ჯერ არც კი დაძრულიყო? იმათი რევოლუციონერობა უმეტესად ქაღალდზე იყო დაწერილი და ქაღალდმავე გააბათილა იგი: ლიბერალების შუბლის კანი დადაღა 17 ოქტომბერმა.

ლიბერალების კრიზისის გასაცნობად ფრიად საყურადღებოა 6 ამ ნოემბერს მოსკოვში გახსნილი კრება ერობისა და ქალაქების მოღვაწეთა, პეტრუნკევიჩის თავმჯდომარეობით 1).

აქვე გავიხსენოთ, თუ როგორ იქცეოდა და როგორ ლაპარაკობდა ამავე ბატონების კრება, გამართული წარსულ ზაფხულს, ივლისის დამდეგს.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სასტიკად აკრძალა კრების მოწვევა, ლიბერალები მაინც შეიკრიბნენ და, როცა გუბერნატორები, პოლიცმეისტრები მიუსიეს კრების გასაფანტავად, თავმჯდომარემ ენერგიულად განუცხადა მთავრობას: აქ შეკრებილნი, ერობის და ქალაქების მოღვაწენი, ვმოქმედობთ რუსეთის იმპერიის ხალხის სახელით და არც დავიშლებით, სანამ არ შევასრულებთ ამავე ხალხის მონდობილებასო. კრებამ განაგრძო მუშაობა. უწინარეს ყოვლისა, დაფხრიწა ბულიგინის მიერ შემუშავებული პროექტი სახელმწიფო „დუმის“ შესახებ. თავისი წრიდან გაძევა უსულ-გულო ლიბერალური ფრაქცია შიპოვისა და გამოიტანა ასეთი რეზოლუცია: რუსეთის იმპერია ვერ ჩადგება მშვიდობიან განვითარების კალაპოტში, ვიდრე არ განხორციელდება ხალხის სუვერენიტეტი, დამყარებული საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებებზეო 2).

ეს იყო ოთხი თვის წინად. სულ სხვაა იმავ ლიბერალების 6 ნოემბერს გახსნილი კრება. ტელეგრაფით გადმოცემული მოკლე ცნობები ძალიან ბევრს გვეუბნება.

კრება გახსნა გოლოვინმა და განმარტა განსახილველი საგანი: ლიბერალების პოზიცია დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში და ზომები ქვეყნის დასამშვიდებლად. ხმა-შეწყობილად ლაპარაკობდა მთელი წყება ორატორებისა. თავადი ევგ. ტრუბეცკოი, პეტერბურგის წარმომადგენელნი კრასოვსკი, როდიჩევი, კუჩეროვი, სარატოვის ქალაქის თავი და სხ. ყველა ესენი ერთხმად ღაღადებენ: მიუცილებლად სრული ნდობა უნდა გამოვუცხადოთ მთავრობას, მხარი უნდა დავუჭიროთ ვიტტეს პოლიტიკას,—ეს არის ერთად ერთი საშუალება მშვიდობიანობის დასამყარებლად და რეფორმის განსახორციელებლადო. ხარკოვის გუბერნიის ერობის წარმომადგენელმა ისიც დასძინა, რომ საჭიროა კრებამ მადლობა გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს 17 ოქტომბრის მანიფესტისათვის. ზოგი- [illegible] საყოველთაო საარჩევნო უფლებას რაღა ვუყუროთ? იმათ ერთ ხმადვე მიაძახეს: მაგაზე იზრუნებს მანიფესტით მოწვეული სახელმწიფო „დუმაო“. ამგვარად, ლიბერალებმა მალე მონახეს ძველი ნაცნობი, გატკეპნილი გზა, გზა „მოთმინებითი შეგუებისა“.

რუსეთის ლიბერალებმა ყურად იღეს მათის საზღვარ-გარეთელ მოძმეთა, კონსერვატიულ ბურჟუაზიის რჩევა-დარიგებანი. 17 ოქტომბერს შემდეგ, საზღვარ-გარეთის კონსერვატიული პრესა, „დეილი ტელეგრაფისა და „ჟურნალ დე დება“-ს მეთაურობით, ნამდვილ პროკლამაციებს სცემდნენ რუსეთის ლიბერალებისადმი: გონს მოდით! ვიტტეს მაგრად მოხვიეთ ხელი, თორემ ერთიანად დაიღუპებით, მთელი იმპერია დაინგრევაო. ევროპის ბურჟუზიას, ბანკირებს, ფინანსისტებს, რა თქმა უნდა, კაცთ-მოყვარეობა არ ალაპარაკებს: რუსეთის რევოლუციაზეა დამოკიდებული იმათი რუსებზე გასესხებულ მილიონებისა და მილიარდების სვე-ბედი.

რუსეთის ლიბერალებს როდი ესაჭიროებათ საზღვარ-გარეთელ მოძმეთა რჩევა-დარიგება. ისინი დაუხმარებლივაც მონახავდნენ „კეთილგონიერების“ გზას, რადგან აქაც და იქაც (საზ. გარეთ) ერთი და იგივე სული ლაპარაკობს, აქაც და იქაც ფულს ერთი და იგივე ენა აბია. კაპიტალის ფსიხოლოგია ყველგან ერთი და იგივეა. რუსეთის ლიბერალებისათვის „ხალხთან მეგობრობა“ საჭირო იყო, ვიდრე ისინი ხელთ იგდებდნენ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავეს და, რაკი ეს უკანასკნელი მისთვის უზრუნველყოფილია, 17 ოქტომბრის მანიფესტით, რასაკვირველია, ეხლა იმათ საკმაო გამბედაობა შესწევთ, რომ ქვეყანა შეაჯერონ ყვირილით: „ხმელეთზე არ მოიპოვება ისეთი მთავრობა, რაც უნდა ურადიკალესი იყოს, რომ შეეძლოს ქვეყნის მართვა-გამგეობა გადასცეს „ბრბოს“ („დეილი ტელეგრაფის“ „პროკლამაციიდან“, 5 ნოემბრის დეპეშა ლონდონიდან).

6 ნოემბერს, მოსკოვის კრებაზე, ლიბერალების ერთმა ბელადმა, გრაფ გეიდენმა, წარმოსთქვა საისტორიო სიტყვები, რომელიც მას და იმის პარტიას სამარცხვინო ბოძზე მიაკრავს სამარადისოდ: გრაფმა განაცხადა: იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევს საარჩევნო სისტემას და არც საჭიროდ ჰხედავს დამფუძნებელ კრების მოწვევას. საჭიროა მხოლოდ, რომ მთავრობამ წარმოსთქვას სიტყვა „კონსტიტუცია“. რათა უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდეს. ეს სიტყვები მშრომელმა ხალხმა მტკიცედ უნდა აღიბეჭდოს გულ-გონებაში. აქ არის დაფარული მუშათა ახალი ბრძოლის ტაქტიკა.

საარჩევნო სისტემა ის ძირითადი საკითხი, რომელიც სწყვეტავს პოლიტიკურ რევოლუციის მთელ შინაარსს. ამ საკითხზეა დამოკიდებული, თუ ვინ იქნება ქვეყნის მმართველი და გამგე: მთელი ხალხი, თუ მარტო ბურჟუაზია?

დღეს ყველასათვის აშკარა არის: როგორიც უნდა იყოს საარჩევნო სისტემა, არავითარ შემთხვევაში საარჩევნო უფლებას მოკლებული არ იქნება ბურჟუაზია, და, აბა, მიბძანეთ, ვისთვისდა გაიცხელებენ თავს ლიბერალები? ეხლა ერთად-ერთი მათი საზრუნავი არის ის გარემოება, რომ ხალხმა როგორმე არ გადალახოს პარლამენტის ძირე, იქ არ შევიდეს „ბრბო“.

გრაფი გეიდენი საჭიროდ არ სცნობს დამფუძნებელ კრებას. რას ნიშნავს ეს? 17 ოქტომბრის მანიფესტით გაუქმებულია ძველი რეჟიმი. ახალი არ დამყარებულა. იმავე მანიფესტიდანაც სჩანს, რომ ახალი რეჟიმი უნდა დააფუძნოს წარმომადგენელთა კრებამ; ვისგანაც უნდა შესდგებოდეს ეს კრება, რა სახელიც უნდა დაარქვათ, იგი ფაქტიურად მაინც ითამაშებს საერო დაფუძნებელ კრების როლს. მაშ რისთვის გაურბის ამ სახელს გრაფი გეიდენი? მხოლოდ და მარტო იმ მოსაზრებით, რომ ხალხის წარმოდგენაში ეს სახელი სამართლიანად ლოღიკურად შეერთებულია იმ ცნებასთან, რომ საერო (სახალხო) დამფუძნებელი კრება არ შეიძლება არ შესდგებოდეს ხალხის წარმომადგენელთაგან. რუსეთის იმპერიის მცხოვრებლების 90%-ს მაინც შეადგენს მშრომელი ხალხი. მაშ მარტო ბურჟუაზია ვერ იქნება ხალხის წარმომადგენელი. ათი არ არის ასი. გრაფ გეიდენს შესწევს გამბედაობა სთქვას, ათი ასს უთანასწორებაო. გრაფის „კონსტიტუცია“ მოასწავებს ბურჟუაზიის ბატონობას. და ამ გრაფს აღტაცებით ტაშს უკრავს ერობათა და ქალაქების „მოღვაწეთა“ კრება. ლიბერალებმა პირბადე აიხადეს და ამისთვისაც „მერსი!“ жребій брошенъ! (წილი ყრილია); ამიერიდგან მშრომელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ასტეხს ბურჟუაზიის წინააღ- [illegible] კლდევებული საფუძველნი დაანგრია, ეს ხალხი დღევანდელ განმანთავისუფლებელ მოძრაობას ლოღიკურ დასკვნამდინაც მიიყვანს.

ლიბერალებს ჩვენ ბრძოლას ვუცხადებთ, მაგრამ შეგვიძლიან მტერსაც სიმართლე მივუწყოთ. ლიბერალიზმის მიუცილებელი ისტორიული დამსახურებაა ის გარემოება, რომ მან თავის საშოდან მოავლინა ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც სასიცოცხლო ფერი აქვს. ეს არის კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების პარტია. მაგრამ შორს არ არის ის მომავალი, როცა ამ პარტიასაც სრულიად დაჩრდილავს მოზარდი მუშა ხალხის პარტია.

კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები მხოლოდ აწმყოს ჩაჰფრენიან, ხვალინდელი დღე მათთვის ბურუსით არის მოცული. მათ პრინციპიალურადაც არ შეუძლიანთ მომავალზე ფიქრი, რადგან ამ მომავალს იმათთვის მოაქვს გაცამტვერება, სრული არარაობა.

მშრომელ ხალხის პარტიებს ხელში უჭირავთ, როგორც აწმყო, ისე მომავალი. მათი იარაღი ორპირი არის: ერთითა სჭედავენ დემოკრატიას და მეორეთი—სოციალიზმს.

სოციალისტურ პარტიების სავალი გზა აშკარაა. ვიდრე რუსეთის იმპერიაში არ დამყარდება უფლებრივი წეს-წყობილება, კანონიერება, დემოკრატიული კონსტიტუცია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა და მის მეზობელ პარტიების ერთად ერთი სავალი—რევოლუციონური გზაა.

ვლ. დარჩიაშვილი.

---

1) გამოცხადდა ოთხასამდე დელეგატი. წარმოდგენილია 26 საერობო გუბერნია, 13 ერობას მოკლებული გუბერნია და 39 ქალაქი. პოლონეთიდანაც მოსული 23 დელეგატი.

2) იხ. გაზ. „ქურნალი“ 20 ივლისის (ახ. სტ.) თარიღით.

კაზაკები

—

ვისაც კი რუსეთის თვალუწვდენელ სახელმწიფოში ცოტა ხანს მაინც უცხოვრია, უსათუოდ იგრძნობდა ერთის თავისებურ ძალის არსებობას. ეს ძალა არის კაზაკი. კაზაკი მხედარია, მხოლოდ—როგორი? სხვა მხედრობაცაა რუსეთში, სხვა ქვეყნებშიაც არის მხედრობა, მაგრამ იმგვარის ტიპისა კი, იმგვარი თავისებური ჯგუფი, როგორიც არიან კაზაკები, მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება. მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელ წესწყობილებამ შესძლო ამ ვერაგ დაუნდობელ ძალის შექმნა.

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ბუნებაში არსებობს შერჩევის კანონი, რომელიც პირობათა სხვადასხვაობის მიხედვით ჰქმნის ორგანიზმთა სხვადასხვაობას. მაგრამ, თუ ცხოვრებას დაუკვირდებით, დაინახავთ, რომ სოციალურ პირობების თავისებურობაც სცვლის ადამიანს დათავისებურ ელფერსა სდებს. ამის შესახებ შეგვიძლიან მოვიყვანოთ ლიბკნეხტის ფრიად საგულისხმიერო სიტყვები. „ისტორიულად დამტკიცებულიაო,—ამ-

ბობს იგი, რომ—გერმანელთა შორის წოდებრივი განსხვავება,—მსგავსად ინდუსთა და ეგვიპტელთა, რომელთა შორის კასტიური განსხვავება რასებისა და თემების განსხვავებაზე იყო დაფუძნებული, წარმოსდგა დამპყრობთა და დაპყრობილთა ურთიერთ დამოკიდებულებისაგან. დღევანდელი საზოგადოება კი, ბუნებით რევოლუციონური, უკუღმა აბრუნებს რასების კლასებად გარდაქმნის პროცესსა და ისწრაფვის, კლასობრივი განსხვავება რასიულ თავისებურობად გარდაქმნას. ჩასუქებული ბურჟუა, ცხადია, გაცილებით უფრო ვითარდება, ვიდრე სანახევროდ მშიერი მუშა... საკმარისია თვალი გადაავლოთ მანჩესტერის ბირჟაზე ბატონ ბურჟუებს და შემდეგ გაისეირნოთ იმ ქუჩებში, სადაც მიდიან უთვალავი მუშები ქარხნებში ან ბრუნდებიან ქარხნებიდან: ამგვარი დაკვირვება ყოველ ადამინს აფიქრებინებს, რომ ეს მუშები სულ სხვა მოდგმისანი არიან. მსხვილ, ფართო მხარ-ბეჭიან და ჩასკვნილ მექარხნეში ადვილად გამოიჭრება სამი ჩია-ტანის, მჭლე და ლოყებ-ჩავარდნილი მუშა... თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ძალიან მოკლე დროში კლასობრივი განსხვავება ისეთ თვალსაჩინო რასიულ განსხვავებას შექმნის, რომ საჭირო იქნება მეორე დარვინი კლასთა საერთო წარმოშობის დასამტკიცებლად".

დიაღ, ასეთია საზოგადოებრივ უთანასწორობის შედეგი. მაგრამ აქ გამოთქმული აზრი შეეხება მხოლოდ ადამიანის ფიზიკურ მხარეს. თქმა არ უნდა,—არსებობის ფიზიკურ პირობების სხვადასხვაობა შედეგად იძლევა ადამიანის აგებულობის განვითარების სხვადასხვაობას. საარსებო პირობების თავისებურობას გავლენა აქვს ადამიანის ფსიხიურ მხარეზედაც. აქაც ხელოვნურ შერჩევას თავისი ძალა აქვს. ერთგვარ პირობებში ხანგრძლივ ჩაყენებული ხალხის ნაწილი ითვისებს თავისებურობას. ამნაირად, განსაკუთრებულ პირობებს სოციალურ აღზრდის მნიშვნელობა ეძლევა.

ეს მოსაზრება საუკეთესოდ მტკიცდება კაზაკებზე. ოდესმე შფოთიანი, დაუდეგარი და ურჩი კაზაკები, განსაკუთრებულ პირობების შემწეობით, დღეს საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტად გადაიქცნენ. გავიხსენოთ სტენკა რაზინის მეთაურობით მე-17 საუკუნეში მომხდარი გაღატაკებულ გლეხთა შესანიშნავი აჯანყება. აქვე დაუმატოთ სოციალურის მხრივ არა ნაკლებ საყურადღებო ,,პუგაჩოვის აჯანყება''. ეს ფაქტები საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ ნორმალურ პირობებში კაზაკები მოქალაქობრივ განვითარებაში რუსის ხალხის დანარჩენ ნაწილს არ ჩამორჩებოდნენ, და თუ ეს ჩამორჩენა მოხდა, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ რუსეთის თვითმპყრობელ წესწყობილებაში.

მთავრობამ თავიდანვე იგრძნო, რომ კაზაკთა მხედრული მიდრეკილება მისთვის მეტად გამოსადეგი იყო შინაურ მტრებთან საბრძოლველად. მან კაზაკებს მიანიჭა ბევრი უპირატესობანი შინაურ საქმეების მოწყობაში და საზოგადოდ არ დაუკლია სხვადასხვაგვარი წყალობა. სამაგიეროდ, კაზაკი მუდმივ მტრად [illegible] ეს მხედრობა წაუსისიანა დანარჩენ ხალხს კაზაკი მუდამ ,,ამშვიდებს'' სხვებს, მუდამ დაუკითხავად იბრძვის. ამ ბრძოლამ მოძმეთა წინააღმდეგ, რომელსაც არ ახლავს არავითარი შეგნება რაიმე მოქალაქობრივ მოვალეობისა, დაახშო მასში სიბრალული, სხვისი პატივისცემა, მოქალაქობრივი ცნობიერება და მოძმის გატანა. მხედრული გრძნობა გადაგვარდა, გადაიქცა მტაცებლობისა და ვერაგობის მოთხოვნილებად. ყოველ დღე ურიცხვი ფაქტები ქვეყნდება პრესაში, რომელიც გვიმტკიცებს, რომ, სადაც კაზაკია, იქ შეუძლებელია მშვიდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრება.

რასაკვირველია, თვითმპყრობელობის მოსპობა და მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარება პირველ დღიდანვე მოსპობს კაზაკთა განსაკუთრებულ პირობებში არსებობას, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არაა. საუკუნეების განმავლობაში მომქმედმა პირობებმა მოგვცა შედეგი, რომელსაც დღეს დამოუკიდებლივ უნდა გავუწიოთ ანგარიში. საჭიროა განსაკუთრებულ ზომების მიღება, რომ კაზაკები მოქალაქობრივ არსებობისთვის საშიშ ელემენტს აღარ წარმოადგენდნენ. ეს კულტურული საკითხია, რომლის განხორციელებაც დიდ დროს მოითხოვს. დღეს კი ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ მოსპობილ იქმნას კაზაკების ყოველი უპირატესი მდგომარეობა და მათი „განსაკუთრებული" მოვალეობანი. მთელმა საზოგადოებამ ერთხმად უნდა დაიძახოს: მოგვაშორეთ კაზაკები!

ბ.

* * *

სულთმობრძავი თვითმპყრობელობა

ჟ. ჟორესის წერილი

რუსეთიდან ოფიციალურად გამოგზავნილ დეპეშებით არწმუნებენ ქვეყნიერებას, რუსეთში საზოგადოების ნაძირალთა საშინელი ძალმომრეობა შეწყდაო... მართალი კი არის? ყოველ შემთხვევაში, სულთმობრძავი თვითმპყრობელობა გრძნობს, რომ უნდა შეასუსტოს როგორმე ის აღელვება და საერთო უკმაყოფილება, რომელიც ყველა განათლებულ ქვეყნებში გამოიწვია ხსენებულმა ძალმომრეობამ...

მართლაც, ამ თვითმპყრობელობის ერთგული ხელქვეითები, მისი პოლიციელები და ჟურნალისტები, ამზადებდნენ ნიადაგს, რომელზედაც შემდეგ იფეთქა საშინელმა სისხლის ღვრამ, საზოგადოების ნაძირალთაგან ხალხის დარბევამ. ხელმწიფის სახელით მოქმედებდნენ, რევოლუციაზე ხელმწიფის ჯავრს იყრიდნენ ის ოფიციალური კაცის მკვლელები, რომელნიც ებრაელებს არბევდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ შენობებს, სადაც ჩამწყვდეული ჰყავდათ საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრენი, ხალხის გაბატონების მოტრფიალენი...

თვითმპყრობელობა ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ყველასთვის ცხადია, რომ აქ იგია საზოგადოების ამ ნაძირალთა წამქეზებელი, პოლიციელთა მოთავე, მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოუდგენელი სხვა უფრო საშინელი ბოროტმოქმედება, თვალთმაქცობა და სისასტიკე: იმ დროს, როდესაც ხელმწიფე, ხალხის ძლიერების წინაშე, იძულებული შეიქმნა ხალხისთვის ზოგიერთი უფლება დაეთმო, იმავე დროს იგი სახელმწიფოს ყველა კუთხეში ავალებს კონტრ-რევოლუციის მოხდენას და ახლად დაბადებულ თავისუფლების სისხლის მორევში სამუდამოდ მოსპობას. მას იმედი აქვს, რომ მისგან წაქეზებული ძალმომრეობა ხალხს შეაძულებს თავისუფალ ცხოვრებას, რომლის პირველივე ნაბიჯს თან მოჰყვა საზოგადოების ნაძირალთა მხეცური ძალმომრეობა. ასე ფიქრობენ და ამნაირად მოქმედობენ ყველგან რეაქციის მომხრენი, რომელნიც ცდილობენ რევოლუციონერებს მოახვიონ თავის ყველა ის ბოროტმოქმედება, რომელიც კონტრ-რევოლუციის მომხრეთ ჩაუდენიათ...

ან, ეგება, თვითმპყრობელობას მართლაც არ შესწევს ძალღონე იმისთვის, რომ დაიმორჩილოს საზოგადოების ნაძირალთა ბრბო, რომელსაც წინეთ თვითონ ზრდიდა და აჩვევდა ძალმომრეობას?! როდესაც ებრაელებს კიშინევში არბევდნენ, ეს ხომ დიდის ხნის მომზადების და წაქეზების შედეგი იყო, პლევესაგან შექმნილი, პოლიციელთაგან განხორციელებული. თვითმპყრობელობას უნდოდა, რომ მისგან დამონებულსა და შევიწროვებულ ხალხს ჯავრი ებრაელებზე ეყარა: ვინ იცის, ახლა ამ ტაქტიკამ შეიძლება ისეთი შედეგი მოიტანა, რომლის იმედი თვით მთავრობასაც კი არა ჰქონია. შეიძლება, თვითმპყრობელობა, რომელიც წინეთ ხალხს აქეზებდა ებრაელებზე, ინტელიგენციაზე და რევოლუციონერებზე, ახლა ველარ ახერხებს მხეცურ გრძნობების შეჩერებას, მაშინაც კი, როდესაც თვითონ ცდილობს ახალი რეჟიმი შემოიღოს სახელმწიფოში. მაგრამ თუ საქმე მართლა ასეა და თვითმპყრობელობა, ყოველივე ძალის გამანადგურებელი და დამპონებული, ახლა თუ თვითონ თავის ძლიერების გამოჩენას ველარ ახერხებს,—მას მხოლოდ ერთად ერთი საშუალება აქვს, რომ ამ კაცის კვლასა და სისხლის ღვრაში პასუხის მგებლობა აიცილოს თავიდან,—მან უნდა მიჰმართოს იმ ერთად-ერთ ძალას, რომელსაც შეუძლიან ახლა წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარება რუსეთში, მიჰმართოს, ხალხს... მხოლოდ ერთად ერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია აუხვიოს გვერდი შინაურ განხეთქილებას,—ეს არის ხალხის გაბატონება. მხოლოდ ერთად-ერთი კანონია დარჩენილი, რომელსაც ყველა დაემორჩილება,—ეს არის კანონი, ხალხის მიერ შემუშავებული, მისგანვე გამოცემული. ნახევარი თავისუფლება, კუდ—მოკვეცილი რეფორმები ეხლა უნაყოფოდ ჩაივლის. ამნაირ რეფორმებს შეუძლიან მხოლოდ შინაურ არეულობის შექმნა, შინაურ განხეთქილების გაძლიერება. გაურკვეველად შედგენილი მანიფესტები აგიტაციის ფრთას შეასხამენ და უნდობლობას გამოიწვევენ. რევოლუციის მომხრენი შიშობენ, რომ მოტყუებული იქმნებიან და იარაღზე ხელს არ იღებენ. და თვითმპყრობელობის აგენტები თავის მხრივ ფიქრობენ გაბედულებით ფონს გავიდნენ და სისხლის ღვრითა და ტერორით მოსპონ რევოლუცია. მხოლოდ ხალხის ნებას, დამფუძნებულ კრებაში გამოთქმულს, შეუძლია სიბნელის მოსპობა, სადაც ახლად შექმნილ თავისუფლების სხივები რეაქციისაგან ცეცხლ-მოკიდებულ ადგილებში იკარგა. ხალხის დამშვიდება თვით ხალხს შეუძლიან და სხვას არავის. ხელმწიფემ თუ კელავაც იუარა და სრული ამნისტია არ გამოაცხადა, ხელმწიფემ ხალხის სრული წარმომადგენლობა თუ არ შემოიღო,—იგი იქმნება პასუხისმგებელი ყველა იმ ძალმომრეობასა და სიმხეცეში რომელიც რუსეთში, თვით მის სურვილის წინააღმდეგაც, მოხდება. კონტრ-რევოლუციის მომხრენი, რეაქციის მეთაურები, რომელნიც ჰკლავენ, ცეცხლს უკიდებენ და ძარცვავენ ხალხს,—თავისუფლების მოსისხლე მტრად გამოსულან, ბუზებივით მძორს დაჰხვევიან. მოიშოროთ მძორი და ეს ბუზები თავის თავად მოისპობიან;—ეს მძორი თუ არ მოიშორეს, რევოლუცია რუსეთში სისხლის დაუღვრელად არ გათავდება.

რაც შეეხება ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს,—ისინი უთუოდ ყურადღებას მიაქცევენ იმ ძალმომრეობას, რომლის მსხვერპლად სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომები შეიქმნენ, და რომლის ჩამდენი იყვნენ თვითმპყრობელობის მომხრე ელემენტები. და განა ყველასათვის ცხადი არ არის, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას? ვიტტე სულ უნიჭო შარლატანი თუ არ არის, რომელსაც მხოლოდ თავის თავისა და სხვების მოტყუილება სწადიან, მან უნდა გაიგოს, რომ ევროპის სახელმწიფოთა საქმეში ჩარევის თავიდან ასაცილებლად, რუსეთის მთავრობამ უნდა ახლავე აღადგინოს წესიერება და უზრუნველ ჰყოს ადამიანის სიცოცხლე და პიროვნება.

ამის მიღწევა მხოლოდ დამფუძნებელ კრების მოწვევით არის შესაძლო, ხალხის გაბატონებით სახელმწიფოში. ევროპის ფინანსისტები ვიტტეს ამაში დაარწმუნებენ. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ევროპაში ასეთ ძლიერების მქონე ებრაელი კაპიტალისტები ფულს ასესხებდნენ იმ მთავრობას, რომელიც საზოგადოების ნაძირალთა ბრბოს ადგენს ოდესსაში, ტომსკში და რუსეთის სხვა ქალაქებშიაც ებრაელების ამოსაწყვეტად. რუსეთის გადარჩენა შეუძლიან მხოლოდ რევოლუციის სრულ გამარჯვებას,—ესე იგი დამფუძნებელ კრებას მთელ ხალხისაგან პირდაპირ და თავისუფლად არჩეულს (ჰუმანიტე. 7 ნოემბერი).

* * *

ბაქოს ამბები.

—

დილის 10-საათი იქნებოდა 18 ოქტომბერს, რომ პირველად გამოატარეს ბაქოს ქუჩებში დეპეშები კონსტიტუციის გამოცხადების შესახებ.

ქალაქი ერთბაშად შეიცვალა, ახმაურდა, გამხიარულდა: დიდი და პატარა ქუჩებს მოეფინა, მანიფესტაციები გაიმართა.

ყველაზედ უწინ რეალურ სასწავლელის მოსწავლეებმა დაიწყეს მანიფესტაცია და „მარსელიეზას" ღიღინით დაეშვნენ ძირს — ქალებისა და ვაჟების გიმნაზიისკენ. მათი წითელი დროშები უშიშრად და საამურად ფრიალობდა ამ დროს ჰაერში.

სანამ ამ გიმნაზიებთან მივიდოდნენ, გზაში მათ შეუერთდა დიდძალი ხალხი და წარმოისთქვა რამდენიმე სიტყვა.

— სიტყვა თამამი, უშიშარი, შეუპოვარი, რომელიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა საზოგადოდ რუსეთის წინანდელ წეს-წყობილებას, მის გამგე ბიუროკრატიას და კერძოდ დღევანდელ კუდმოკვეცილ რეფორმებს

„არავინ მოგვატყუოთ, ეს უკუდო კონსტიტუცია ჩვენთვის არავის უბოძებ-უწყალობებია, იგი ჩვენი სისხლითაა მოპოებული, მხოლოდ მან ჩვენ არ უნდა დაგვაკმაყოფილოს სავსებით და უფრო მხნედ, უფრო თავგანწირვით ვიბრძოლოთ მომავლისათვისაო", ათავებდნენ ორატორები სიტყვას.

ბოლოს მანიფესტაციამ მიატანა ქალებისა და ვაჟების გიმნაზიას, მას შეუერთდნენ ამ სასწავლებლების შეგირდები და ისევ მარსელიეზას სიმღერით გასწიეს ქალების კერძო პროგიმნაზიისაკენ. ამ პროგიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე მიემატა მანიფესტაციას, რომელიც აქედან მირზაბეგიანცის თამბაქოს ქარხნისაკენ გაეშურა. ქარხნიდან გამოვიდა დიდი, პატარა, ქალი და კაცი, უცებ საიდანღაც გააჩინეს წითელი დროშები და ყველამ ერთად გასწია რკინის გზის დეპოსაკენ.

დეპოსთან როდესაც მივიდა მანიფესტაცია, იგი მრავალ რიცხოვანი იყო,—მას 3—4 ათასამდე კაცი შეადგენდა. აქ რამდენიმე ორატორმა წარმოსთქვა სიტყვა. ყველა წყევა-კრულვით იხსენიებდა რუსეთის სულის შემხუთავ წეს-წყობილებას და მომავალ ბრძოლისათვის მოუწოდებდა ამხანაგთ. სხვათა შორის, ერთმა პეტერბურგიდან მოსულმა ქალმა (ს. დემოკრატთა უმცირესობის წარმომადგენელმა) დაახლოვებით ასე ილაპარაკა: „ჩვენი სამშობლო, ჩვენი რუსეთი დიდი ხანია, რაც უწყალოდ იტანჯებოდა გარყვნილ-გახრწნილ ბიუროკრატიის ხელში, რომელიც მარად იმას ცდილობდა, რომ, ნათელის მაგიერ, ბნელი გამეფებინა ყველგან, რომელიც მუდამ ჯალათი იყო ყოველივე თავისუფალ აზრისა და სიტყვისა. იგი არ ინდობდა და არ ზოგავდა არც რუსს, არც ებრაელს, არც ქართველს და არც სხვას, ვისაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი ედვა. ყველას ციხეებში ალპობდა, რათა თვითონ შეერჩინა ბატონობა. თავისუფალი სიტყვა დღითი-დღე იზრდებოდა, გმირების რიცხვი მუდამ მრავლდებოდა და ამისათვის თავგანდასხმულმა ბიუროკრატიამ, რათა მოესპო პირველიც და მეორეც, ციხეებს გარდა, სხვა საშუალებასაც მიმართა. ეს საშუალებაა—ყველგან საომარ წეს-რიგის შემოღება. ბიუროკრატიის იმედი ერთი მხრით ციხეები და სატუსაღოები იყო, მეორე მხრით საომარი წესები და ,,ეკზეკუციები''. გურიაში ეკზეკუცია! იმერეთში ეკზეკუცია! ქართლში ეკზეკუცია! ლამის მთლად აიკლონ ეს არე-მარე კაზაკებმა! ცოტა დროც კიდევ და არ დარჩებათ ამ ადგილებში ნამუს-აუხდელი და გაუუპატიურებელი არც გათხოვილი, არც გასათხოვარი... ნუთუ მოსახერხებელია ერთად თავისუფლება სიტყვისა და წერისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და ბინისა და საომარი წესები?! არა და არა! მაშ ბრძოლა, ამხანაგებო, ბრძოლა, რომ საუკუნოდ დავამარცხოთ ნახევრად დამარცხებული მმართველობა და მის მაგიერ ჩვენ თვითონ—ხალხი—განვაგებდეთ ჩვენს საქმეებს"...

ამასობაში ნაშუადღევის 3—4 საათი შესრულდა, მანიფესტაცია დეპოდან—ბალახანის ქუჩით—კუბის მოედნისაკენ გაემართა.

კუბის მოედანზე მანიფესტანტები თითქმის ერთ საათს დარჩნენ. აქ მუსულმანთა წარმომადგენლებმა აუხსნეს თათრებს—რას ნიშნავდა ეს ხალხის ქუჩა-ქუჩა სიმღერით სიარული, წითელი დროშები და ან რას მოასწავებდა გამოცხადებული კონსტიტუცია.

აქედგან წავიდა მანიფესტაცია ნიკოლოზის ქუჩისაკენ და ქალაქის თვითმართველობის შენობასთან წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. ნიკოლოზის ქუჩიდან, ასე საათის 5-ზე, ხალხი გაემართა ბაილოვისაკენ.

ბაილოვში დიდი აღტაცებით შეჰხვდნენ მათ ზღვაოსნები. აქ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა და შემდეგ ზღვაოსნების „სამხედრო ორკესტრით" მივიდნენ ციხეში, სადაც რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე იყო დაპატიმრებული. ხალხის მოთხოვნილებით დაუყოვნებლივ განთავისუფლეს ყველა ეს დამნაშავენი (გარდა ხუნდაძისა და ენუქიძისა, რომელნიც რამდენიმე დღის შემდეგ განთავისუფლეს) და მათთან ერთად წამოვიდნენ უკან.

ქუჩებში ხალხის სიმღერამ და სიტყვების წარმოთქმამ 18 ოქტომბერს გასტანა 11—12 საათამდე. ამ დღეს წეს-რიგი არსად არ დარღვეულა. დაშლის დროს ხალხმა ერთი მეორეს სიტყვა მისცა, რომ მეორე დღეს დილით ადრე შეკრებილიყვნენ პარაპეტზე.

მეორე დღეს, 9 საათზე, უკვე გატენილი იყო ხალხით ხსენებული ბაღი. შუა ბაღში ორატორთა სალაპარაკო ტრიბუნა გაეკეთებინათ, რომელსაც ამკობდა სხვადასხვა წარწერებიანი 100-მდე დროშა. ერთ დიდ დროშაზე მარქსის სურათი ეხატა. სურათს ამნაირი წარწერა ამშვენებდა: „გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიას!"

ორმა-სამმა ორატორმა დაასრულა თუ არა აქ სიტყვა, ერთმა ახალგაზდა სტუდენტმა სთქვა: „ამხანაგებო! ჩვენ აქ სალაპარაკოდ აღარ გვცალია: გუშინ გაანთავისუფლეს ციხიდან ერთი ნაწილი ჩვენი ამხანაგებისა (48 კაცი), მეორე ნაწილი კი (28 კაცი) დღესაც ზის სომხების ქუჩაზე საპატიმრო სახლში. წავიდეთ, იგინი ან ნებით, ან ძალით გავანთავისუფლოთ". ხალხმა იგრიალა და წავიდა სატუსაღო სახლისკენ.

მანიფესტაცია სულ რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერდა ამ სახლთან. ყველა მიესალმა ტუსაღებს, რომელნიც ამ დროს ფანჯრებს მოდგომოდნენ. შემდეგ ხალხმა გადასცა ტუსაღებს რამდენიმე დროშა; ტუსაღებმა ეს დროშები ფანჯრებზე გადმოფინეს.

ხალხს თან მიეტანა კიბის მგზავსი ტრიბუნა, რომელზედაც რიგრიგად ადიოდნენ ორატორები და ამბობდნენ სხვადასხვა შინაარსის სიტყვას.

დრო გადიოდა, ტუსაღებს დაპირებისამებრ არავინ ანთავისუფლებდა, ხალხს ბრაზი მოსდიოდა, ღელავდა. გადაწყვიტეს დეპუტაციის ამორჩევა და გუბერნატორთან გაგზავნა. დეპუტაცია 4—5 კაცისაგან შესდგებოდა, რომელიც წავიდა გუბერნატორთან ამხანაგების განთავისუფლების სათხოვნელად და სთხოვა ხალხს, რომ ერთი საათის განმავლობაში ეცადათ პასუხისათვის და, თუ ნებით ვერ მიაღწევდნენ სურვილს, შემდეგ ძალა ეხმარათ. დეპუტაცია წავიდა.

ზოგიერთმა (ხალხისაგან) ველარ მოითმინა, დარაჯებს მიუახლოვდა და ხმამაღლა დაუწყო ლაპარაკი. დარაჯთა უფროსმა უნტერ-ოფიცერმა მოითხოვა, რომ მანიფესტანტები ციხეს მოსცილებოდნენ. მოთხოვნილება არავინ შეასრულა. მაშინ უნტერ-ოფიცერმა დაიძახა: «ესროლეთო» დარაჯებმა თოფები აიღეს, მაგრამ არ გაუსროლიათ.

ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა. ზოგიერთები კიდევ არ სცილდებოდნენ დარაჯებს. უნტერ-ოფიცერმა კვლავ განიმეორა თავის ბრძანება. ჯარის-კაცებმა ხელ-მეორედ აიღეს თოფები, მხოლოდ არც ეხლა უსვრიათ.

აქ ზოგი გაიქცა, ბევრი ისევ თავის ადგილას დარჩა. ამ დროს მოვიდა სადარაჯოდ რამდენიმე ჯარის კაცი და ერთი ოფიცერი. ოფიცერმა რომ დაინახა, ციხესთან ხალხი მოგროვილა და ხმაურობენო, ბრძანა „საყვირი დაეკრათ". საყვირის პირველ დაკვრას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მესამეს კი 20 თოფის გრიალი (ტუსაღებმა ამ დროს ფანჯრებს დაუწყეს მტვრევა). ხალხი თავრეტ-დასხმული ზოგი აქეთ გაიქცა, ზოგი იქით. ზოგიერთი მათგანი ფეხით გადაჯეჯგნეს, ზოგიერთი ტყვიით დაიჭრა. სალდათების უმეტესობამ თოფები ჰაერში გაისროლა, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო სულ მცირე—400-მდე კაცი მოკვდებოდა და დაიჭრებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, ხალხი ისევ შეგროვდა პარაპეტზე სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ ხსენებული 28 ამხანაგიც გამოუშვეს და [illegible] ბაირაღ-ბარხანით მოვიდნენ ჩვენთან.

შემდეგ ზღვაოსნებს ვესტუმრეთ ბაილოვში და გაიმართა მათი კაზარმების ჭიშკართან სიტყვები. ილაპარაკა ერთმა ზღვაოსანმაც და გამოირკვა, რომ მათი უმეტესი ნაწილი სულითა და გულით თანაუგრძნობს რევოლუციონერებს.

ზღვაოსნობიდგან სალიანის პოლკის ჯარის კაცებთან წავიდა მანიფესტაცია. ამ დროს მას მიუძღოდა წინ ზღვაოსანთა ორკესტრი, რომელიც უკრავდა მარსელიეზას. სალიანელებთან მრავალი სიტყვა წარმოითქვა. მათ ჩვენი მასპინძლები თანაგრძნობით მიეგებნენ ბოლოს გამოვემშვიდობეთ მათ და უკან, ქალაქისაკენ წამოვედით.

საღამოს 10 საათამდე გასტანა ამ დღის დღესასწაულმა. დიდებული დღე იყო ეს დღე: უენო ენა ამოიდგა, მშიშარა გმირი გამხდარიყო.

უქმური დილა გათენდა 20 ოქტომბერს. ცა ნისლით შემოსილიყო. ბუნება სამგლოვიაროდ მომზადებულიყო. მინდოდა ქალაქის ამბები გამეგო,—ქუჩაში გამოვედი. რკინის გზის სადგურის ახლოს ქუჩაში სურათებსა და ხატებს წავაწყდი. სურათის ზევით ორ ბოძზე დიდი ტილო იყო გაკრული, რომელზედაც ეწერა: „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა!" სურათის აქეთ-იქით სხვადასხვა ფერის დროშები ფრიალებდა. აქედან პარაპეტისაკენ წავედი. იქ ერთი ნაცნობი შემხვდა და გადმომცა: „სობოროსთან დიდძალი პატრიოტ-ხულიგანთა ბრბოა შეგროვილი, დღეს პატრიოტულ მანიფესტაციას აპირობენო". სობოროს მივაშურე. ჩემს უკან ერთი ღრიალი ისმოდა. დიდძალი ჭრელი საზოგადოება მოდიოდა „ხატებ-სურათებით" და ურას ყვირილით. მივედი სობოროსთან, ისინიც უკან მომყვნენ. მათ თანდათან ემატებოდათ საეჭვო შეხედულების ხალხი. უმეტესი მათგანი კარგად შეზარხოშებულიყო. გათავდა წირვა. წირვის შემდეგ მრავალი ხულიგანური სიტყვა დაიხარჯა. საზოგადოდ სოციალისტებს ემუქრებოდნენ, კერძოდ კი სომხებზე და ურიებზე ილესავდნენ კბილებს. ბოლოს დაიწყო მათი ქუჩა-ქუჩა ღრიანცელი. წინ და უკან, აქედან და იქიდან ჯარი და პოლიცია დაჰყვებოდა ამ „დიდებულ" ბრბოს.

რევოლუციონერებმა გადაწყვიტეს, რომ დღეს აღარ გამოსულიყვნენ ქუჩაში, რათა გულშემზარავი სისხლის ღვრა არ მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ავსცდით უბედურებას: საღამოს 4—5 საათზე ტორგოვი ქუჩაზე ასტყდა საშინელი თოფის სროლა, თოფის სროლას ზარბაზნების გრიალიც მოჰყვა. საგატელოვის სახლი დახვრიტეს, ქალაქმა ზანზარი იწყო. ამბობენ, რომ, როდესაც ეს დიდებული მანიფესტაცია მიუახლოვდა ამ ადგილს, ამ სახლიდგან რევოლვერი ისროლეს და მისთვის მოხდა ეს ამბავიო. უმეტესობა კი ამტკიცებს, რომ ხულიგანებისა და პატრიოტების აზრით [illegible] სოციალისტები ცხოვრობდნენ, განგებ გააჩინეს აქ სროლა, და დახვრიტეს იგიო.

ამ დღეს რამდენიმე კაცი დაიჭრა და მოკვდა ხულიგანებისაგან,

21 ოქტომბერი წინა დღის გაგრძელება იყო. დღესაც არყით გალეშილი ხულიგანი შეგროვდა სობოროსთან. სხვათა შორის, დღევანდელებს ეგრედ წოდებული ბაილოვის სახელ განთქმული ,,პეტროვცებიც'' მიემატნენ. მანიფესტაციაში ,,პეტროვცების'' ჩარევის წინააღმდეგი იყო თურმე მაზრის უფროსის თანაშემწე და ბ-ნ ფადეევს ურჩევდა, რომ ბაილოველი მუშები (თითქმის სულ პეტროვცებია) მანიფესტაციაში არ გაერიათ,—უბედურება მოხდებაო.

გუბერნატორმა არ მიაქცია ყურადღება ამ რჩევას და მოიწვია იგინი—წირვაზე.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: სანამ სობორომდე მოვიდოდნენ, გზაში 16-მდე კაცი იმსხვერპლეს.

წირვის შემდეგ ხულიგანთა მანიფესტაციამ ქუჩა-ქუჩა დაიწყო ღრიანცელი. „ძირს სოციალისტებიო" ყვიროდნენ ყოველ ნაბიჯზე.

მათის მეოხებით, ნიკოლოზის ქუჩაზე საშინელი უბედურობა დატრიალდა: მირზაბეგიანცის სახლთან სროლა ატყდა, ერთი ჯარის კაცი მოკვდა. გამხეცებული ხულიგანები და ჯარი სახლს მისცვივდნენ. ერთი მხრით ცეცხლს უკიდებდნენ, მეორე მხრით თოფებს ესროდნენ განუწყვეტლივ. ცეცხლის გაჩენა ადვილი იყო: ცეცხლის ასანთები ბენზინიანი მასალა თან ჰქონდათ. ცეცხლი ერთი სახლიდან მეორეზე გადავიდა და გაანადგურა 15-მდე შენობა. შიგ მდგომებმა ვერაფერი ვერ გადაარჩინეს. ცეცხლის მქრობელი რაზმი აქვე იდგა უსაქმურად, რაღაც მოსაზრებით არ აქრობდა ცეცხლს. სხვათა შორის, პირბუდაგოვის სახლსაც გაუჩინეს ხულიგანებმა ცეცხლი, მხოლოდ, რადგანაც იგი ახლოს იყო ქალების გიმნაზიის შენობასთან და შეეშინდათ ცეცხლი ამ გიმნაზიზედაც არ გადასულიყო, პოლიცია დაფაცურდა და ცეცხლი ჩააქრობინა.

ღამით კი ისევ დაეწვათ ხულიგანებს პირბუდაგოვის სახლი. ამ უბანში 3—4 კაცი გამოიწვა ცეცხლში.

ერთის სიტყვით, 21 ოქტომბერი ხულიგანების დღესასწაული იყო, ზოგსა ჰკლავდნენ, ზოგსაც ასახიჩრებდნენ და ზოგის ქონებას უშიშრად მიეზიდებოდნენ შინისაკენ. ამავე დღეს მოჰკლეს ბ-ნ ზუბალაშვილის მმართველი გრიგორიევიც (ბ-ნ ზუბალაშვილის სახლის ეზოში).

ხულიგან-პატრიოტები და ძმანი მათნი ზღვაოსნებსაც ესტუმრნენ ბაილოვში, ჩვენთან წამოდითო, სთხოვეს, მხოლოდ მათ იქ ჯეროვანი პასუხი მიიღეს და კუდ-ამოძუებულნი გამობრუნდნენ უკან.

22 ოქტომბერს შედარებით მშვიდობიანობა იყო ქალაქში, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ამ დღესაც იმსხვერპლეს ხულიგანებმა.

23 ოქტომბერს, ქუჩებში გუბერნატორის განცხადებები გამოაკრეს დილა ადრიან, რომელშიაც ეწერა, რომ ქუჩებში კრება-მანიფესტაცია აკრძალულია და ვინც დაარღვევს ამ განკარგულებას, ჯარები თოფს ესვრიანო.

ხულიგანებისაგან აწიოკებულ-აოხრებულმა ქალაქმა, ცოტა არ იყოს, სიხარული იგრძნო. იფიქრეს: „მადლობა ღმერთს, გადავრჩით ხულიგანთაგან სიკვდილსო". მხოლოდ ეს განცხადება თვითვე დაარღვია გუბერნატორმა და ერთხელ კიდევ ანადირა ხულიგანთა რაზმი ბაქოს ქუჩებში.

საღამო ჟამი იყო. რამდენიმე ათასი კაცი მეფის სურათებით, ხატებით და ყვირილით გამოვიდა ნიჟნი პრიუტის ქუჩიდან სტანისლავის ქუჩაზე—სომხების უბანში. მათ მოჰყვებოდა დიდძალი ჯარი და რამდენიმე პოლიციის წარმომადგენელი.

მათ შორის ყველა ეროვნების ხალხი იყო, უმეტესად კი რუსები იყვნენ. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ხახა გაეღოთ და „долой армянъ, долой евреевъ"-ო ყვიროდნენ.

მანიფესტანტებმა სტანისლავის ქუჩიდან ბალახნის ქუჩისაკენ დაუხვიეს. აქ ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა; როგორც გამოირკვა, ერთი თათარი და სომეხი წალაპარაკებულიყვნენ, თათარს სილა გაეკრა სომხისათვის, უკანასკნელს სამაგიეროდ რევოლვერი ესროლა. ამ შემთხვევამ საშინელი კორიანტელი ასტეხა, ყოველი მხრიდან სროლა ასტყდა, სახლებს ესროდნენ. მაშინ სახლებიდგან უპასუხეს აქა-იქ.

სროლას ვინ ჩიოდა: სახლებს ნავთ ბენზინი მიასხეს და სპიჩკა მისცეს,—ცეცხლმა გიზგიზი დაიწყო. სახლებში მყოფთა მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა: გარეთ გავიდოდნენ,—ლუკმა-ლუკმად აქცევდნენ, შინ დარჩებოდნენ და ცეცხლი დასწვავდა. თვით ჩემი ბინაც ამ რაიონში იყო. კაშჩეევის სახლის აქედ-იქიდ (სადაც მე ვიდექი) ცეცხლი მუსრავდა ყოვლისფერს. ამ სახლში 16-მდე (ხუთ-ოთახიანი) ბინა იყო, 200-მდე ქალი და კაცი ვცხოვრობდით. ჩავკეტეთ მაგრად რკინის ჭიშკარი და ეზოში არავის ვუშვებდით. მალე ცეცხლი კაშჩეევის სახლსაც მისცეს, აქ კი ყველაფერი აირია: საშინელი წივილ-კივილი შეიქნა. დიდი და პატარა ერთი მეორეს ეხლებოდა, ესრისებოდა.

ბოლოს ჭიშკარი გაალებინეს მეეზოვეს და ეზოში ერთი ოფიცერი შემოსულიყო, რომელსაც დაეძახა: „რუსებო და მუსულმანებო თავს უშველეთო". ამ სახლში გარდა ორ რუს-ქართველ ოჯახისა ყველა სომხები და ურიები იდგნენ, ამისათვის ოფიცრის სიტყვებმა კიდევ მეტი კივილ-ჩხივილი ასტეხა აქ.

ხან ერთი სომეხი შემოვარდებოდა ჩვენთან, ხან მეორე, შველას გვთხოვდნენ, მაგრამ რით გვეშველა?! ჩვენი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა.

ჩემმა ამხანაგებმა ჩოხები გადიცვეს და დაეშ-

ვნენ ძირს. ჯერ მეც მათ გავყევი უკან, მხოლოდ მეორე სართულს რომ გავუსწორდი, ვიფიქრე: ,,ჩემ ამხანაგებს ჩოხები აცვიათ, შეიძლება ამის მეოხებით თავს უშველონ, მე ხომ სიკვდილი არ ამცილდება და ქუჩაში სიკვდილს ჩემს ლოგინზე რომ მოვკვდე, ის არა სჯობია თქო''. ამხანაგები წავიდნენ. მე უკანვე დავბრუნდი.

10—15 წუთს დავრჩი მარტოდ-მარტო ოთახში, საშინელი წამები იყო: დასაკლავ ცხვარსავით მოვემზადე სასიკვდილოდ.

შემდეგ ყვირილი შემომესმა. გარედ გამოვიხედე. ერთი მოხუცი ყვიროდა: ,,რუსებო, თავს უშველეთ, გამოდითო''.

მოხუცის სიტყვებზე გამეცინა მწარედ და შევეკითხე: „სხვებმა რა ვქნათ, კოჭი ვითამაშოთ!? „შენ ვინა ხარო"—შემომძახა გაჯავრებულმა მოხუცმა.

,,ქართველი''—ჩავძახე ზევიდან.

შემდეგ მოხუცმა მირჩია ძირს ჩავსულიყავ, აღმითქვა არ მოგკლავო, და მეც დავეშვი დაბლა.

მოხუცმა ქიშკრამდე მიმაცილა. საშინელი სანახაობა დამხვდა ქუჩაში: ქუჩა სისხლით იყო შეღებული, აქა იქ დახოცილ-დაჭრილები ეყარნენ. ცალის მხრით ცეცხლი ანადგურებდა ადამიანის ნაწვალ-ნადავს. გულმა აღარ გამიძლო: თვალები დავხუჭე ერთ ხანს და თან გიჟსავით ვყვიროდი: „ქართველი ვარ, ნუ მომკლავთ.“

ამ ყვირილის ბრალი იყო, თუ უცაბედად მოხდა, არ ვიცი, მხოლოდ სრულიად მოულოდნელად გადავრჩი სიკვდილს, ამ სახლში მცხოვრებნი სომეხ-ურიები, როგორც ამბობენ, გამოიყვანა აფიცრებმა ბაბუნაიშვილმა და გადაარჩინა სიკვდილს.

როდესაც გაიგეს, რომ კაშჩეევი რუსი იყო, ცეცხლი ჩააქრეს და სახლი დაწვას გადაარჩინეს. მხოლოდ ჩვენი ბინები დაეწიოკებინათ ხულიგანებსა და ჯარებს, ზოგიერთების ამანათები სულ წაეღ-წამოეღოთ. ბალახანის ქუჩაზე დასწვეს ამ ღამეს სულ 6 სახლი. ზოგიერთ დაწვარ-დაბუგულ სახლს ზარბაზნებიც ესროლეს. სახლებს გარდა რამდენიმე ადამიანიც დაიწვა.

18 23 ოქტომბრამდე სულ 100 მდე ქალი და კაცია დაჭრილ-მოკლული და დამწვარი.

კონსტიტუციაც ასეთი უნდა, არა?

პეტრე მაჭავარიანი.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

რედაქციამ გურიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო: კნ. ილია თუმანიშვილისაგან 100 მან. ილ. ზურაბიშვილისაგან 5 მან. და ქვემოთ მოხსენებული 25 მან. და 43 მ. 95 კ. სულ 173 მ. 95 კ. წინეთ შემოსულთან ერთად 610 მ. 10 კ.

გურულების მედგარმა თავგამოდებამ და მათმა აწინდელმა მდგომარეობამ ჩვენზე, ვეტცელის სასტუმროში მოსამსახურეებზე, დიდი შთაბეჭდილება იქონია, და გთხოვთ ეს ჩვენი წვლილი მიაწოდოთ მამაც გურულებს.

ხუთი მანათი: აბრამ მიქაძე. ორ-ორი მანათი: აბრამ მიქელაძე, გიორგი მელაძე, ევგენი პეტრაკოვი, გერასიმ მელაძე. თითო მანეთი: ვანო პეტრიაშვილი, იაკობ ადუაშვილი, ნიკო კერვალიშვილი, ერასტი ბარამიძე, არსენ თოფურია, ანდრია სადაჯი, სერგო კიტუხაშვილი.

ათ-ათი შაური: სანდრო ლანდი, ალექსი ჩიქელაძე, სიკო კამანიძე, ერმილე კომაშვილი, ტერემ ბერიშვილი, ლევანტი ახრანოვი, სერგეი აუშოვი, ხურშუტ აპერტისიანც და იაკობ ხაჩატუროვ.

ექვსი შაური; მალაქია დიკოლაძე. ერთი აბაზი: ვალოდია სანიკიძე.

სულ 25 მანათი.

ამავე საგნის გამო მივიღეთ ნიკო გვრიტიშვილისაგან 2 მან.

5 მანეთი ჩიჩქინმა; ორ-ორი მანეთი: ცენტრალურმა წიგნის მაღაზიამ და დიტიატკოვსკის მაღაზიამ; თითო მანეთი: ა. ჩაიკინმა, ფიცხელაურმა, უცნობმა, მაღაზია „ქარავანმა“, ი. ვასაძემ, გაბინოვმა, ფეოდოროვისამ, ნ. იოანისიანმა, კაიდანოვის წიგნის მაღაზიას, ფ. ტასოვმა; 70 კაპ. არეშიძემ; 60 კაპ. დადვაძემ; ათ-ათი შაური: ტერ-მესროფიანმა, სააკიანცმა, ნ. ბეგიევისამ, მხეიძემ, ტერ-ანტონიანცმა, №№, არნიშიძემ, მაკომ, ჯ. მელიქოვმა, მიქელოვმა, გალუსტიანმა, აკრაშოვმა, მისნიკოვმა, მ. ველლერმა, კონტრიჩაძემ, ქალანთაროვმა, ბიუდელმა, ტურიჩმა, მარქსმა, ტყეშელაშვილმა, „ენერგიამ“, პიპინაძემ, ქალანთაროვისამ, ალექსეევისამ, ნაზაროვმა; ორ-ორი აბაზი: მ. ნათაძემ და №№; შვიდ-შვიდი შაური: ი. ოჰანეზოვმა და ბახუტაშვილმა; ექვს-ექვსი შაური: ი. გოგიშვილმა, მინასოვმა, პივოვაროვმა, მირველოვმა; ხუთ-ხუთი შაური: ასათიანმა და კოჩინოვმა; თითო აბაზი: თამარა ხუბურიმ, ვარ გოცირიძემ, კასუმოვმა, მაისურაძემ, გიორგი ახვერდოვმა, ასათიანმა, აიზენბერგმა, ჩიკვაიძემ, ფარსადანოვმა, მახმარაძემ, ლაფაჩიძემ, შაქრომ, ფელდშტეინმა, ვერამ, ფრანგიშვილმა, ბინიატ ოღლიმ, ხრხიანცმა. №№, კელმა, მარამელოვმა, კაციტაძემ, კილასონიამ, რევაზოვმა; სამ-სამი შაური: №№, №, №, 43, შარაშენიძემ, უცნობმა, №№, ქიქინაძემ, №; ორ-ორი შაური: დემეტრაშვილმა, რუსმა სალდათმა, ვექილოვმა, იაპლოკოვმა, სამთელაძემ, ქინქარაძისამ, თითო შაური: საკიანცმა, არუთინოვმა, მაჩქასოვმა, ხარატოვმა, ბალიაშვილმა.

სულ 43 მ. 95 კ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 9 ნოემბერი. სრულიად რუსეთის საგლეხო კავშირის და სახალხო მასწავლებელთა და სახალხო სწავლა-განათლების მოღვაწეთა კავშირის შეერთებული კრება თავის ძმურ სალამს უგზავნის ქართველ ერის ყველა მებრძოლთ და გურულებსაც, რომელნიც რუსეთის მშრომელ ხალხის დიად განმანთავისუფლებელ მოძრაობის სათავეში დგანან. კრება პატივსა სცემს ბრძოლაში მოკლულთა ხსოვნას. დახოცილთ—დიდება, ცოცხლებს—თავისუფლება! კრების თავმჯდომარე **ტანი**, მდივანი. **სკვორცოვი.**

ქუთაისი. 8 ნოემბერს ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ შენობა იქირავა მუშათა კლუბის გასამართავად, კლუბი მოქმედებას ამ დღეებში დაიწყებს. კვირას ქუთაისის ბულვარში დანიშნულია სოციალ-დემოკრატების მიტინგი.

სიღნაღი. 9 ნოემბერს ქვემო ქიზიყის ხალხი დემონსტრატიულად შეიკრიბა სოფ. ჯუგანში, გაიმართა მიტინგი, რომელზედაც შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: ქვემო ქიზიყის ხალხი ვუერთდებით სრულიად-რუსეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელ ხალხს. მათთან ერთად მოვითხოვთ სრულიად-რუსეთის დამფუძნებელ კრებას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს კანონიერი მოთხოვნილებანი ყველა ეროვნებისა თანაგრძნობას ვუზიარებთ გურიას, კაზაკებს კი ჩვენს გულის წყრომასა და ზიზღს. სალამი ჩვენს ამხანაგ-სალდათებს, რომელნიც სამხედრო წესების გაუქმებას თხოულობენ პოლშაში და რუსეთის სამს გუბერნიაში.

ახალი ამბავი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეებმა თავის დელეგატებად მოსკოვში გასაგზავნად ამოირჩიეს ინჟინერი კურაბცოვი და ა. კვერკველაძე. გუშინ ამათ სთხოვეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს „ოტპუსკა“ მოსკოვში წასასვლელად. ბ-ნი ლინდენი შეეკითხა ნამესტნიკს და **ნამესტნიკმა საჭიროდ არ დაინახა მათი განთავისუფლება**, რაც უკვე ეცნობათ ამორჩეულ დელეგატებს. როგორც გავიგეთ, ბ-ნი კვერკველაძე მოსკოვში მთავრობის ნება-დაურთველად მიდის.

◆ **მაჰმადიანთა პოლიტიკური მიტინგი** დანიშნულია პარასკევს, 11 ნოემბერს, თათრების სასაფლაოზე.

◆ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 10 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში, ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ, ვლ. ს. **ალექსი მესხიშვილისა და ქ ნ ს. რომანიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა „ცოდნაშია ძალა“**, დრამა სამ მოქმედებად, თხზულება ფილიპისა, და ოქტავ მირბოს ერთ-მოქმედებიანი კომედია „ქურდი“. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობა, ახალი პიესები და წარმოდგენის სიმპატიური დანიშნულება (ერთ-ერთ მომქმედ პარტიის სასარგებლოდ არის გადადებული წარმოდგენის შემოსავალი) სრული თავდებია იმისა, რომ ხალხი ბლომად დაესწრება ამ წარმოდგენას. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში **გარე—კახეთის მცხოვრებთ დიდი კრებები ჰქონიათ.** ეს ამბები მომხდარა მას შემდეგ, როდესაც გარეთ კახეთის დეპუტაციამ იქ ტფილისიდან სასიამოვნო ამბავი მიტანა: გურიიდან ჯარი გაყვანილ იქნებაო. წითელის დროშებითა და სიაფლურ საგმირო სიმღერებით ხალხს ყველა სოფლები შემოუვლია და ყველგან სიხარული შეუტანია.

◆ ჩვენ გვატყობინებენ: ტფილისის მაზრის სოფელ დურნუკიდან, სადაც სომხები სცხოვრობენ, რამდენსამე თათარს საქონელი გაურეკია. თათრებს სოფლეში დასდევნებიან და ორი მათგანი მოუკლავთ. დანარჩენ თათრებს სხვა სოფლებისათვის შეუტყობინებიათ, სადაც 80 **შეიარაღებული თათარი წამოსულა და სოფელ დურნუკს გარ შემოერტყმია.** დურნუკის მცხოვრებნი სოფელში ჩაკეტილები არიან.

◆ კვირას, 20 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო **თეატრში გაიმართება ქართული ოპერა გურიაში კაზაკებისაგან გადამწვარ ოჯახობის სასარგებლოდ.** წარმოდგენილ იქნება სამ-მოქმედებიანი ოპერა ,,სევილიელი დალაქი'', მუსიკა როსსინისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ძნელაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, ცხომელიძე, ალასოვი, ჯაფარიძე, ნეიფარიანი, ი. კარგარეთელი. დასასრულ გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რუსულ საოპერო დასის მომღერალნი: ქ-ნი არციბაშევისა; ბ-ნი კოლოტოვი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო შეასრულებს რამდენსამე ქართულს სიმღერას.

◆ გუშინ, ნაშუადღევს სამ საათზე, ქუჩაში სამის ტყვიით **მძიმედ დასჭრეს გამომძიებელი ნიკო ხიზანიშვილი**, რომელსაც ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, როგორც პუბლიცისტს „პლებს“ ისა და ნ. ურბნელის ფსევდონიმით.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა **წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას**, ტფილისის მეეზოვეთა ინსტიტუტი თქვენს ზედამხედველობის ქვეშ მიიღეთო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, პოლიცმეისტრის წინადადება არ მიიღოს, რადგან საქალაქო დრუჟინას თავისს მეთაურობით აარსებს. დრუჟინაში მიიღებს მხოლოდ საიმედო მეეზოვეებს.

◆ სამშაბათს, 8 ნოემბერს, ღამის $8^1/_2$ ს., კობის ქუჩაში, მანუკიანის სახლის ალაყაფის კარებთან **დაიჭირეს ორი ხულიგანი**, რომელთაც კარებზე დაეწერათ: „ა“ „ნ“ „ე“, რაც ნიშნავს: სომეხი დაბლა სართულში სდგასო. დაჭერილები გასასამართლებლად მუშებს გადასცეს.

◆ ტფილისის **სამხედრო საკრებულომ სართიჭალისა, ტფილისისა და ელისავეტპოლის ნაწილებში მუშაობა დაასრულა.** ყველგან, კენჭის ამოღების შემდეგ, ახალგაზრდანი გაიქცნენ. გაქცეულებმა მამასახლისებს პირით სამხედრო საკრებულოს შეუთვალეს: სამსახურში გამოვცხადდებით მხოლოდ მაშინ, თუ თვეში სამს მანათს ჯამაგირს დაგვინიშნავთ, ორ წელიწადზე მეტს არ გვამსახურებთ და კავკასიის საზღვრებს არ გაგვაცილებთო. ტფილისის სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარემ მამასახლისებს მისწერა: ყოველგვარი ღონისძიებანი მიიღეთ გაქცეულთა დასაჭერადაო.

◆ **ჭიათურა.** 8 ნოემბერს, დილის ათს საათზე, სადგურის ახლოს, ლიანდაგზე **მოჰკლეს** ბესარაბიის პოლკის მეექვსე როტის კომანდირი **კაპიტანი ანდრეი ტარასოვი.** მკვლელი დასჭრეს და შეიპყრეს.

◆ **ჭიათურა.** რკინის გზის სახალხო **მატარებლების მოძრაობა 4 ნოემბრიდან დაიწყო.** პირველი სახალხო მატარებელი წითელის დროშებით შემკული მოვიდა. ერთ დროშაზე, სხვათა შორის, ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას“! დაბაში სხვაფრივ სიწყნარეა.

◆ გუშინ-წინ, 8 ნოემბერს, ნაძალადევში **მიტინგი მოჰხდა მზარეულებისა და მსახურებისა.** მიტინგს ტფილისის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი დაესწრნენ. ორატორებმა დამსწრეებს განუმარტეს 17 ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობა და დაანახვეს აუცილებელი საჭიროება იმისა, რომ ისინიც ვალდებულნი არიან ამ განთავისუფლების ხანაში ხმა ამოიღონ და თავიანთი ძალა დაუპირდაპირონ იმ შავ ძალებს, რომელთაც მთელს რუსეთში თავი გამოჰყვეს და პატიოსან ხალხს მუსრს ავლებენ. ერთმა მზარეულთაგანმა ილაპარაკა და სთქვა: დღეს ჩვენ არავითარ ძალას არ წარმოვადგენთ, რის გამოც დამქირავებელნი ყოველ უბრალო მიზეზს ხელზე იხვევენ და სამსახურიდან გვითხოვენო. რათა ჩვენ უზრუნველნი ვიყოთ ამ მხრივ და შევეძლოს თანამედროვე მოძრაობას ხელი გავუწოდოთ, საჭიროა კავშირი დავაარსოთო. მიტინგმა ეს აზრი მოიწონა და ათი კაცი ამოირჩია, რომელთაც შემდეგს მიტინგზე თავიანთი მოსაზრება უნდა წარმოადგინონ.

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა პოლიცმეისტრის წინადადება იმის შესახებ, რომ საადრესო სტოლის წარმოება ქალაქმა იკისროს, და დაადგინა, წინადადება უარჰყოს, რადგან საადრესო სტოლს ამ სახით, როგორც დღეს არსებობს, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და კიდევ იმ მოსაზრებით, რომ მას აზრადა აქვს დაარსოს სტატისტიკური განყოფილება, სადაც თავიანთი მოსამსახურენი ჰყოლიათ.

◆ **ტფილისის ქართულ გიმნაზიას ჯარმა 1,000 მანათამდე ზარალი მიაყენა.** საცვლები და წიგნები გატანილია. სწავლა სასწავლებლის შეკეთების შემდეგ დაიწყება.

◆ სასტუმრო „შურ-დვინი“-ს პატრონმა ი. მამინაიშვილმა ნამესტნიკს თანაშემწეს ბ-ნ სულთან-კრიმ გირეის სთხოვა: კაცი დანიშნეთ, რომელიც გამოიკვლევს ჩემს ზარალს, რომელიც 22 ოქტომბერს სისხლის ღვრის დროს მომაყენესო. ზარალის გამოკვლევის შემდეგ, მამინაიშვილი ჩივილს აპირობს.

◆ 6 ნოემბერს, ქობულეთისა და ნატანებს შუა, მე-71 ვერ., საქონლის მატარებელს თორმეტი შეიარაღებული კაცი დაეცა, გააჩერეს მატარებელი, გახსნეს ერთი ვაგონი, გადმოაგდეს ორი ბოჩკა, ამ ორ ბოჩკაში ჭურჭელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღმოჩნდა თოფის წამალი; რასაც მოერიდნენ, თან წაუღიათ, რაც არა და იქვე დაუტოვებიათ.

◆ ტფილისის ქალთა მე-4 გიმნაზიის მოსწავლე ქალთა რეზოლუციას სასულიერო სემინარიის ტფილისში მყოფი მოსწავლენიც უერთებენ თავიანთ ხმას და ზიზღს უცხადებენ საეკლესიო სასწავლებლისა და კადეტთა კორპუსის მოსწავლეებს, როგორც ისეთებს, რომელთაც 22 ოქტომბრის საშინელ სისხლის ღვრაში მიიღეს მონაწილეობა.

◆ ამ უკანასკნელ ხანში ვერაზე ქურდობა ძალიან გახშირდა. ზოგს დუქანი გაუქურდეს, ზოგს სახელოსნო, ზოგს სახლი. აქ მოქმედობს ერთი წრე ქურდ-ბაცაცებისა, რომელმაც თავისს თავს „კომიტეტი“ დაარქვა. ვერის ახალგაზრდობამ რამდენჯერმე გააფრთხილა თითონ ქურდების კომიტეტი და კერძოდ მისი წევრნი,—თავი დაანებეთ ქურდობას, თორემ საქმე ცუდათ წაგივათო. ბოლოს, სიტყვით რომ ვერას გახდნენ, გუშინწინ ამ დაიჭირეს სამი ქურდი და ეგრედ წოდებულ, ერთობის კომიტეტის საპყრობილეში ჩასვეს, მალე სახალხო სასამართლო გადასწყვეტს დატუსაღებულთა ბედ-იღბალს.

◆ გუშინ და გუშინ წინ კოზლოვიდან ტფილისში ჩამოვიდნენ გადასახლებული ქართველები: თედო რაზიკაშვილი, იაკობ ოდიშაშვილი, სპირიდონ მაჭავარიშვილი, სოლომონ ნოზაძე, გარსევანიშვილი, ლეკანოზაშვილი, ივ თომაძე, სიმონია, ჯანელიძე, ქიმერიძე, ნანიტაძე, გაგნაძე, სტეფანაშვილი და სხ. ერთი გადასახლებულთაგანი—ვანო მურვანიშვილი—თავის ნებით კოზლოვში დარჩენილა. გუშინ წინ, ჩამოვიდა აგრეთვე ბ-ნი მატბერაშვილი, რომელიც ოლონეცის გუბერნიაში იყო გადასახლებული.

◆ კვირას, 6 ნოემბერს, დუშეთში, დიდძალი ხალხის თანადასწრებით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი იმ ვაჟთა სულის მოსახსენებლად, რომელნიც 22 ოქტომბრის სისხლის ღვრას დროს კაზაკთა და ჯარის კაცთა ტყვიების მსხვერპლნი შეიქმნენ.

◆ გუშინ, 9 ნოემბერს, ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლა დაიწყო.

◆ **სად აგარა.** 6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, მე-149 ვერსზე, ვიღაც შეიარაღებულნი დაეცნენ კაზარმას, მოჰკლეს უფროსი რემონტის მუშა, კონსტანტინე დევდარიანი და გაძარცვეს.

ფელეტონი

ნატვრა

ასრულდა, თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში
და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,
მეც მამეცინა, მოხუცს, ნუგეში.

—

გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის
და აასრულოს საერთო ნება!..

—

გუშინ არ იყო, რომ აკრძალული
ძალმომრეობით, გვქონდა ეს ყველა?
ბიუროკრატი, როგორც რომ წრჩილი,
კაცურ ღირსებას ღრღნიდა ნელ-ნელა!..

—

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,
რომ წაილეკოს უსამართლობა
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!..

—

შრომა ხალხისა შეერთებული
ძალით-ძალია სტიქიონური;
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი,
გინდა ბრძანებაც იყოს მეფური!..

—

ახლა კი სწორედ შემიძლია ვსთქვა:
თუმცა გავლიე ცხოვრების გზანი,
მაგრამ ნუგეშად მომყვება მე თან
დიდი იმედი!.. კარგი ნიშანი!!..

—

ეს არის მხოლოდ პირველი ბიჯი
და თან მოჰყვება მას სიარული!..
შვილების პირველ ფეხის ადგმაზე
მისი მშობელი არს მხიარული.

—

ესეც პირველი ნაბიჯი არის,
ჩვენის ხალხისგან დღეს გადადგმული,
ჯერ იბარბაცებს!.. რომ გამაგრდება,
მაშინ წინ წავა გამხნევებული.

—

ადრეც მეჯერა და ახლაც მრწამს:
სიტყვა თესლია, საქმე—ნაყოფი!
თუ არ ხანგრძლივის მოვლა-წამლობით
არ იკურნება ხომ ავადმყოფი?!

—

ბედმა გვარგუნა ჩვენ ხვნა და თესვა,
რაც კი მოითხოვს ხანდახან გასვრას!
თქვენ მომკლები ხართ!—ხელს თუ გაიშვრით,
ნუ ერიდებით ცოტა სისხლის ღვრას!

—

თუმცა მოვხუცდი, არ შემიძლია
დავატრიალო თქვენებრ სამგალი,
მაგრამ მაინც კი გადაბმული ვარ
და თქვენ შეგყურებთ სიამით თვალი.

—

აბა, „ჭოთუნა“ დააგუგუნეთ
პურის სამკალად, ეკლის საჭრელად,
და მეც შორიდან ბანს გეტყვით ყველას
სიამოვნებით, უკანასკნელად!..

აკაკი.

გურიაში

(15 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე)

15 ოქტომბერი. ქ. ოზურგეთში საერთო გაფიცვა დაიწყო. ყოველივე მოძრაობა და ცხოვრების მაჯის ცემა შეწყდა. ქუჩებში ჯარის-კაცთა პატრულები გამოჩნდნენ. ტელეგრაფის მუშაობა ოზურგეთსა და ნატანებს შუა გაუქმდა, რადგან ტელეგრაფის ბოძები და მავთულები დასჭრეს და დაწყვიტეს.

16 ოქტომ. დ. ჩოხატაურში რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა პოლიციის სადგომს. ასტყდა სროლა. მოჰკლეს ორი სტრაჟნიკი, დასჭრეს ორი, ხოლო ბოქაული და რამდენიმე დარაჯი ტყვედ წაიყვანეს. წაიღეს ყველა იარაღი.

18 ოქტომბ. მაზრის უფროსი ლაზარენკო ერთი როტა პლასტუნის ჯარით და თხუთმეტ სტრაჟნიკით წავიდა ჩოხატაურში, რომ ბოქაული გამოეხსნა, „თავხედობისათვის“ ხალხიც დაეტუქსა. ჯარისა და მაზრის უფროსის წასვლამ ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა და აღელვება გამოიწვია. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჯარი ჩოხატაურის ასაოხრებლად წავიდაო. იმ ფაქტს, რომ მაზრის უფროსს ცუდი განზრახვა ჰქონდა და უნდოდა სასტიკი ზომები მიეღო ხალხის წინააღმდეგ, ცხად ჰყოფს ის მიწერილობანი, რომლებიც მაზრის უფროსმა შიკრიკების ხელით გაგზავნა 17 ოქტომბერს ბათომსა და ქუთაისში და რომლებიც ხალხს ხელში ჩაუვარდა! მაზრის უფროსი სწერდა: მთელი გურია აჯანყდა, მთელი შეიარაღებული ხალხი და მათ შორის გამოპარული სამასი სალდათი ფეხზე სდგას და მთელ ადმინისტრაციისა და ჯარს ამოწყვეტას გვიპირებს; მომაშველეთ ჯარი და ზარბაზნებიო.

ოზურგეთის გარშემო მდებარე სოფლებში ზარების განუწყვეტელი რეკა ყველას რაღაც არაჩვეულებრივსა და საშინელ ამბავს აუწყებდა. ხალხმა თავი მოიყარა და გადასწყვიტა: თუ პოლიცია ან ჯარი სასტიკ ზომებს მიმართავდა და ჩოხატაურსა და ან სხვა სოფლებს რასმე დაუშავებდა, მედგრად შებრძოლებოდა და არაფერი არ დაეთმო. მებრძოლი რაზმები შეიარაღდნენ. ყველა გზებზე დარაჯები დააყენეს და არავის უშვებდნენ, რომ ამბები არ წაეღ-წამოეღოთ და ჯარი ჯარს არ მიშველებოდა, თუ ვინიცობაა მოხდებოდა რამე... სად. ნატანებსა და სუფსას შუა რკინის გზასთან შეტაკება მოხდა: მოჰკლეს ორი კაზაკი, დასჭრეს სამი, ხალხის მხრივ მოკვდა ერთი—სალუქვაძე.

20 ოქტომბერი. მაზრის უფროსმა ჩოხატაურში ვერაფერი გაარიგა, რადგან ხალხმა ძალას წინ ძალა დაუყენა. მაზრის უფროსი დაბრუნდა უკან და, ეგრედ წოდებულ, ნასაკირალზე საშინელი შეტაკება მოუხდათ ჯარსა და ხალხის მებრძოლ დრუჟინის ერთ ნაწილს. საღამოს 8 საათი იქნებოდა; წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. ჯარი ნელის ნაბიჯით შეუდგა გორაკებს შუა მიმავალ გზას. წინ მიდიოდნენ სტრაჟნიკები, შემდეგ დატვირთული „პოვოზკა“ და ეტლი, შემდეგ ჯარი. მოაღწიეს თუ არა იმ ადგილს, სადაც მებრძოლი რაზმი იყო ჩასაფრებული, სტრაჟნიკებმა თოფის სროლა ასტეხეს. უპასუხეს ხალხიდანაც. ამას მოჰყვა ყუმბარების საზარელი სროლის ხმა, რამაც პოვოზკა დაამსხვრია და წინა რიგი ჯარისა გაანადგურა. გაისმა შესაზარი ზალპი ორთავე მხრივ. სტრაჟნიკები ცხენებიდან უსულოდ ჩამოცვივდნენ. გაიმართა ნამდვილი ბრძოლა; ჯარის კაცები მიწაზე დაწვნენ და ისე ისროდნენ. პირველ და ცხარე შეტაკების შემდეგ, ჯარმა უკან დაიწია, დაიჭირა პოზიცია ერთ გორაზე და იქიდან ესროდა; ხალხის მებრძოლი, ბარიკადებსა და თხრილებში ჩასაფრებული, რაზმიც პასუხს აძლევდა. სროლამ დილამდე გასტანა...

ოზურგეთში ჯარების უფროსმა ბრძანება გამოსცა: ყველა დაწესებულებების მოსამსახურეებმა ციხეში შეაფარეთ თავი, რადგან მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღოო.

21 ოქტომბერი. ნასაკირალზე ნაშუადღევს გათავდა ყველაფერი, ჯარი დამარცხდა და გაიფანტა. თავი მიანება რაზმმაც, რომელსაც ტყვედ დარჩა თარჯიმანი ანთაძე და რამდენიმე სტრაჟნიკი, ჯარის კაცნი; თოფი და ცხენი; ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა.

ნასაკირალზე გაფანტულ ჯარიდან გამოქცეულ ხუთ პლასტუნს შეტაკება მოუვიდა ს. დვაბზუში რამდენსამე კაცთან. მოჰკლეს ერთი პლასტუნი, დასჭრეს ერთი, სამი უვნებლად ჩავიდა ოზურგეთში. ნატანებში მომხდარ შეტაკების დროს მოკლულ კაზაკებს მოასვენებდნენ ოზურგეთში; რაზმის მხლებელმა პატრულმა ს. ბზავში მოჰკლა ერთი მოხუცი კაცი — ღომაძე, რომელსაც ტომრით სიმინდი მიჰქონდა. ქალაქში საერთო შიშიანობაა. ბევრი მცხოვრები ქალაქიდან გარბის. ჯაშუშებმა საქმე იშოვეს: მომხდარ ამბებს ათასნაირად აზვიადებდნენ, და ჯარის უფროსს არწმუნებდნენ, ხალხი ჯარს დაეცემაო...

22 ოქტომბერი. საშინელი დღეა! დილით, ოზურგეთიდან გავიდა პლასტუნის ჯარის სამი როტა და გაემართა ნასაკირალისკენ. გზაზე, ს. დვაბზუში, მოჰკლეს ერთი მოხუცი-დვალიშვილი, რომელმაც სალამი მისცა ჯარს და ჯარისკაცებმა კი ხიშტებზე ააგეს. შემდეგ ჯარმა სახლების წვას მიჰყო ხელი. ს. დვაბზუდან დაწყებული ნასაკირალამდე (რამდენიმე ვერსტია) სოფელი ცეცხლის ალსა და კვამლში გაეხვია! სწვავდნენ სახლებს, სასიმინდეებს, ბეღლებსა და სხვა შენობებს. შეშინებული ქალები და ბავშვები წივილ-კივილით გარბოდნენ, როცა მათი საცხოვრებელი ცეცხლით ნადგურდებოდა და ქონებასა და ძვირფას ავეჯეულობას გამხეცებული ჯარის კაცები იტაცებდნენ.

ნასაკირალზე ჯარმა მოაგროვა მკვდრები და დაჭრილები, მიმალულ ცოცხლებს თავი მოუყარა და გამოსწია. გზაზე კვლავ სახლებს სწვავდა. ქალაქში ერთი რაზმი ბაზარს მოედო და მაღაზიები დააკეტინა (გაფიცვა გათავებული იყო), ხალხი გამოყარა ქალაქიდან და შემდეგ გაატარეს მკვდრები და დაჭრილები. ქალაქ გარედ დარჩენილმა ჯარმა კვლავ ხელი მიჰყო სახლების წვას და ამასთან ასტეხა საშინელი თოფის სროლა. შესაზარი სურათი იყო! მთელის ქალაქის მცხოვრებნი, კაცი, ქალი და ბავშვი, ტირილ-ყვირილით გარბოდა ქალაქიდან, რადგან ამბობდნენ: ჯარი ქალაქსაც ცეცხლს წაუკიდებსო.

ქალაქის ახლოს ცეცხლის ალი ცამდის ადიოდა და ამავე დროს ჯარის თოფების გრიალი ყველაფერს აყრუებდა.

სროლის დროს მოჰკლეს ერთი კაცი—ღოლიძე, რომელმაც დამალვა ვერ მოასწრო. ოზურგეთში ჯარების უფროსს მიაშურა რამდენიმე „თანამდებობის“ კაცმა და განუცხადა: თუ ჯარს სროლა და სახლების წვა არ შეაწყვეტინე, სოფლიდან ხალხი მოდის საბრძოლველად და ყველას გაანადგურებსო. დაუკრეს საყვირი და ჯარი კაზარმებში შევიდა..

დაღამდა თუ არა, პატრულები ბაზარში აღარავის უშვებდნენ; ბაზრის დარაჯები ყველა გამორეკეს და პლასტუნის ჯარის-კაცებმა მიჰყვეს ხელი ძარცვა-გლეჯას: გასტეხეს რამდენიმე მაღაზია და სულ დააცარიელეს; საქონელი ტომრებით მიჰქონდათ, ორი „ბუტკა“ შენობიანად დაამტვრიეს და, შიგ რაც იყო, ყველაფერი წაიღეს. სტეხდნენ დაკეტილ სახლებსაც და ყველაფერი მიჰქონდათ. შინაურ ფრინველს სულ მუსრი გაავლეს. ნამდვილი ალა-მაჰმადხანობა იყო.

23 ოქტომბერი. კიდევ დილით დაიწყეს ძარცვა-გლეჯა. საერთო შიშიანობას ჯერ კიდევ არ გაუვლია. ხმებია, ჯარი კიდევ დაიწყებს წვას და ქალაქსაც ცეცხლს წაუკიდებსო. ვაჭრები პოლიციასთან იყო, კაზაკების თავგასულობისაგან დაგვიფარეთო. მანიფესტის დეპეშა მოიტანა ვიღაცამ; ყველა დაინტერესებულია—სხვაგან რა ამბებიაო. ცნობები არაფერი არ მოდის.

24 და 25 ოქტომბერი. ყველგან სიმშვიდეა. ოზურგეთში დუქნები და სავაჭრო დაწესებულებანი გაიღო, ეტლები ამოძრავდა. დაასაფლავეს ნასაკირალზე დახოცილი ჯარის კაცები. დახიზნული ხალხი ნელ-ნელა უბრუნდება თავიანთ ბინას. ათასნაირი გაზვიადებული ცნობები მოდის...

ჯარმა გადასწვა სულ ორმოც და ექვსი მოსახლე*). თითო მოსახლისას გადამწვარია რამდენიმე შენობა (ოდა, სამზარეულო, სასიმინდე, ბეღელი და სხვა), ასე რომ, შენობის რიცხვი რომ ვიანგარიშოთ, 100 მდე აღწევს. ჯარის კაცები ჯერ სჩხრეკდნენ სახლებს, თუ რამე კარგს ნახავდნენ, მიჰქონდათ და შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ. უმეტესად გადამწვარია ისეთი სახლები, რომლის პატრონიც შინ არ ყოფილა...

ამ შეტაკების დროს ხალხს მოუკლეს სულ ექვსი კაცი და დაუჭრეს სამი (მსუბუქად). ამ ექვსშიაც სამი უბრალოდ მოკლულია ქუჩაში. ჯარის ზარალი საგრძნობელია. მოკლულთა და

---

*) მათ შორის სოფლის კანცელარიისა და სკოლის შენობაც.

◆ **სად. განჯა.** 7 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, სახალხო მატარებლის № 5 ვაგონის აივნიდან გადმოვარდა უნტერ-აფიცერი კლებენკო და ვაგონებს ქვეშ ჩავარდა. თვლებმა მარცხენა ფეხი მოსწყვიტა.

◆ სამშაბათს, 8 ნოემბერს, ღამით, ყაზბეგის ქუჩაში ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა მეეტლეს, მაგრამ ვერ მოარტყა.

◆ ბელინსკის ქუჩაზე, სამშაბათს, 9 საათზე, მოჰკლეს ერთი თოქმაჩი. როგორც ამბობენ, მკვლელობა პირადულ ინტერესითაა გამოწვეული.

◆ გუშინწინ, 8 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, წყნეთის ქუჩაზე, საბებიო ინსტიტუტის ახლო, ერთი მეტლე რევოლვერით დასჭრეს. მსროლელი მიიმალა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ იმავე ღამეს, 9 საათზე, მიმავალ ტრამვაის ვაგონში მჯდარ კაზაკს ვიღამაც რევოლვერი ესროლა. კაზაკი გადარჩა. მსროლელი მიიმალა.

ქუთაისის ცხოვრება

ამ დღეებში სავაჟო გიმნაზიის დარბაზში კრება ჰქონიათ ქუთაისის სასწავლებლების მასწავლებლთ ი. ი. ოცხელის თავმჯდომარეობით. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა: ა) განდევნილ იქმნეს სასწავლებლებიდან ძველი ბიუროკრატიული წესწყობილება და მიენიჭოს ამ სასწავლებელთ ავტონომიური მართვა-გამგეობა; ბ) მშობლების და უფროს კლასების მოწაფეების წარმომადგენელთა დახმარებით მასწავლებელთა შორის არჩეულმა კომისიამ შეიმუშაოს განახლებულ სასწავლებლებისათვის ახალი, დროს შესაფერი პროგრამა; გ) კრებამ შეუძლებლად სცნო, რომ რეალურ სასწავლებლის გვერდით დაბანაკებულ იქმნეს ზარბაზნებითა და ტყვიისმტყორცნელებით შეიარაღებული ჯარი, რომელსაც მოწაფეები მუდამ შიშს ქვეშა ჰყავს და სწავლის ნორმალურ მიმდინარეობას აფერხებსო. ამიტომ საჭიროდ დაინახა, რომ ხსენებული ჯარი სხვა ადგილას იქმნეს გადაყვანილი.

◆ 6 ნოემბერს ფედერალისტურ პარტიების წარმომადგენელნი წავიდნენ სოფ. ბაღდადს მიტინგის გასამართავად. მიტინგზე დასასწრებლად ქუთაისიდანაც ბევრი წავიდა.

◆ ქუთაისში დაიწყეს ფულის შეკრება იმ გმირ გურულთა ოჯახების სასარგებლოდ, რომელთაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჯართან შეტაკების დროს სახელოვნად დალიეს სული, ან რომელთაც გამხეცებულმა კაზაკებმა გადაუბუგეს სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და ცოლ-შვილნი მშიერ მწყურვალნი ცის ქვეშ დაუყარეს. სხვათა შორის, ქალაქის გამგეობამაც იკისრა ხსენებულ მიზნით ფულის შეკრება, რისთვისაც მთელს ქალაქში განცხადებები გააკრა და იწვევს საზოგადოებას შემოწირულებისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, შემოწირულება ბლომად იკრიბება.

◆ 6 ნოემბერს, ქალაქის თეატრში, ბ-ნმა პროსტოსერდოვმა გამართა რუსულად საჯარო ლექცია შემდეგის სათაურით: „რა არის პოლიტიკური თავისუფლება". როგორც მთავრობის მიერ ნებადართულ განცხადებაში იყო ნახვენები, ლექციის შემოსავალი გადადება სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციის კასის სასარგებლოდ. ლექცია იაფ-ფასიანი იყო, როგორც ადგილების ღირებულებით (10—30 კაპ. თითო ადგილი), ისე თავის შინაარსითაც. ბ-ნს ლექტორს ახალი სრულიად არაფერი უთქვამს, 1½ საათის განმავლობაში ჩვენ გვიკითხა სხვადასხვა პროკლამაციებიდან და გაზეთებიდან ამოკრებილი ცნობები, რომელიც ათასჯერ ჰქონდა ყველას წაკითხული და გაგონილი, ვინც, რასაკვირველია, ქართული წერა-კითხვა იცის; გაგვაცნო, თუ რა არის დამფუძნებელი კრება, საარჩევნო უფლება, საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და სხვადასხვაგვარი კენჭის ყრა, ანუ არჩევნები, რაც ქართულს ლეგალურ გაზეთებშიაც კი უფრო გასაგებად იყო განმარტებული, წაგვიკითხა საფრანგეთის ცნობილი დეკლარაცია, გვაუწყა ისიც, რომ ფინლანდიისა და პოლონეთის ავტონომიას აქვს თავისი საბუთები, ხოლო, როდესაც საზოგადოებიდან ვიღაც შეეკითხა პატივცემულ ლექტორს, „კავკასიის ავტონომიას აქვს თუ არა საფუძველიო, მან პირში წყალი დაიგუბა, ე. ი. „არა აქვს", გვითხრა. რა გაეწყობა... დაგვაკლდეს მისი მადლი ბანი... შემდეგ ლექტორმა გარდასცა საზოგადოებას ხელმოსაწერად რეზოლუცია შესახებ იმისა, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთ მიენიჭოთ სრული ამნისტია. ბოლოს მან წაგვიკითხა ერთი პროკლამაცია, რომელიც დაამთავრა საზოგადოთ მიღებული შაბლონურ სიტყვებით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას"-ო და სხვა და-სხვა, და იაფ-ფასიანი ლექციაც გათავდა.

◆ შაბათს, 5 ნოემბერს, ქუთაისის კრუჟოკში გაიმართა საცეკვაო საღამო სალიტერატურო და საკონცერტო განყოფილებით ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა სასარგებლოდ, რომელნიც, მოგეხსენებათ, გაფიცულნი არიან და ჯამაგირებს ვერ იღებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, საღამოს საზოგადოება ბლომად დაესწრო და შემოსავალიც კარგი დარჩა. როგორც გავიგეთ, მასწავლებელთა კავშირს შემოსავლის ერთი ნაწილი სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაუდვია.

◆ ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ქუთაისური დრამატიული დასი წარმოადგენს ცნობილ პიესას „კაიგრაკს"-ს, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება დახოცილ ან დასახიჩრებულ გურულთა ოჯახების სასარგებლოდ. თუ ხსენებულ პიესის წარმოდგენას საზოგადოება ჩვეულებრივ დროსაც ბლომად ესწრება, მით უმეტეს ეხლა სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმოდგენის მეტად სიმპატიური მიზანი კიდევ უფრო მეტს საზოგადოებას მიიზიდავს. სახელოვანმა გურულებმა ჩვენთვის თავისუფლების მოპოვებას თავისი სიცოცხლე შესწირეს მსხვერპლად და, ნუთუ ჩვენში აღმოჩნდება ვინმე ისეთი გულქვა, რომ ამ გმირ მეომართა უპატრონოდ დაყრილ ცოლშვილის სასარგებლოდ თითო-ორ-ოროლა მანეთი დაიშუროს?!

ისარა.

კავკასიის ქრონიკა

სომხური გაზეთები ირწმუნებიან, განჯის გენერალ-გუბერნატორს თაყაიშვილს წინადადება მიეცა, სამსახურს თავი დაანებოსო.

◆ განჯიდან გვწერენ: გაფიცვების შემდეგ პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგის ფასებმა ძალიან აიწია. სიძვირე იმდენად სანოვაგე-სურსათის სიცოტავით არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ვაჭრების სიხარბითა და გაუმაძღრობით. ამიტომ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა კომიტეტმა დაიბარა ყველა ვაჭრები და ნიხრი დაუდგინა. ვაჭრები გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ. ვინც დადგენილებას დაარღვევს, იმისთვის სასჯელია გადაწყვეტილი.

◆ შუშიდან გვატყობინებენ: მაჰმადიანებსა და სომხებს, შორის შეიარაღებული თავ-დასხმა ხშირ-ხშირად ხდება. ამას წინად მაჰმადიანებმა დაატყვევეს 20 სომეხი, სომხებმა—16 მაჰმადიანი. მაწას არავინ მუშაობს. მომავალ წელში ხალხს სიმშილი მოელის. გენ. თაყაიშვილმა სომხების „დაშნაკცუტუნის" პარტიას ნება დართო, დაიქირაოს შენობა მიტინგებისთვის.

◆ ბალახანა-საბუნჩის ნავთის ქარხნების მაჰმადიან-მუშათა 16 წარმომადგენელმა გაზეთ „ჰაიათ"-ში დაჰბეჭდა შემდეგი წერილი: ვუცხადებთ ჩვენს აღშფოთებას ყველა იმ ხულიგან-პროვოკატორს, რომლებიც ქალაქში ავრცელებენ ჭორებს, ვითომ ჩვენ ებრაელების და სომხების ამოხოცვის განზრახვა გვქონდეს.

◆ როგორც ამბობენ, ბაქოს ვიცე გუბერნატორი ლილეევი სამსახურს თავს ანებებს.

◆ გ. ადამოვის ქვრივმა, რომლის ქმარი ამას წინად ნახიჩევანში თავის მაღაზიაში დასწვეს, სენატში საჩივარი შეიტანა ერევნის გუბერნატორზე და ერევნის ვიცე-გუბერნატორად ნამყოფ ტარანოვსკიზე. ადამოვისა მათ 18 ათას მანათს ზარალს უჩივის.

◆ როსტოვიდან კავკავში ჩავიდა მრავალი ხულიგანი, რომლებიც „შავ რაზმებს" ადგენენ ებრაელების დასარბევად. ებრაელთა საზოგადოების წარმომადგენელნი თხოვნით მივიდნენ ადგილობრივ მთავრობასთან, მაგრამ ოლქის უფროსიც და პოლიცმეისტერიც... ავად გამხდარიყვნენ.

◆ მე-15 გრენადერის ტფილისის პოლკის როტიდან გაიქცა ორი ჯარის კაცი გიორგი ჟღენტი და ისაკ როტელაშვილი. გაქცეულებმა თან წაიღეს ორი ახალი სისტემის თოფი და ოცი პატრონი.

◆ ზაქათალის ოლქიდან სწერენ გაზეთ „ბაქო"-ს: მხოლოდ 4 ნოემბერს, საღამოზე, მივიღეთ გაზეთები, სადაც ამოვიკითხეთ 17 ოქტომბრის მანიფესტი. ამ დრომდე კი პოლიციის ბოქაულმა გამოგვიცხადა: მანიფესტმა ბევრი წყალობა მოგვანიჭათ და ამის გულისთვის ილოცეთო. ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ გვეპატია სხვადასხვა ჯარიმები, ტყის „პროტოკოლები", რომ მერაბების თანამდებობა გაუქმებულია (?!) და სხვ. და ვლოცულობდით.

◆ გაზეთ „ბაქომ" დაბეჭდა წერილი სალიანის პოლკის პოდპორუჩიკის ლ. კ. ბაბუნაშვილისა, რომელიც სწერს: ნება მიბოძეთ, მადლობა გარდავუხადო ყველა იმათ, ვინც მადლობას მიძღვნის იმის გამო, რომ 23 ოქტომბერს კოშკეის სახლის განადგურების დროს, რაც კი შემეძლო, ვეცადე და ზოგიერთნი სიკვდილს გადავარჩინე. ამასთან არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ მე მოვიქეცი ისე, როგორც მოვალეა მოიქცეს ყოველი აფიცერი, და ამ შემთხვევაში მადლობას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდესო.

დაჭრილთა ნამდვილი რიცხვი არ ვიცით, მაგრამ ნასაკირალზე მყოფ ჯარიდან რომ ბევრი არ გადარჩენილა უვნებლად, ეს ცხადია. დაჭრილებისათვის ოთხი კერძო სახლი დაიქირავეს ოზურგეთში და იმაში დააწვინეს. მაზრის უფროსი უვნებლად გადარჩა, რადგან შეტაკების დროს ხიდის ქვეშ დამალულიყო...

26 ოქტომბერი. სასალდათოები კენჭის ამოსაღებად არ გამოცხადდნენ. მამასახლისებმა მთავრობას წარუდგინეს სოფლის საზოგადოებების მიერ შედგენილი რეზოლუცია, რომელიც ამბობს: „ჩვენ, ამა და ამ საზოგადოების მცხოვრებნი, განურჩევლად სქესისა და წოდებისა (რეზოლიუცია ხელმოწერილია ხალხის მიერ), ვიღებთ რა მხედველობაში: 1) რომ არსებული პოლიტიკური წესწყობილება მიმართულია ხალხის წინააღმდეგ; 2) რომ მთავრობის მიერ მოწვეული სათათბირო ვერ იქნება ხალხის ინტერესების გამომხატველი, ვუცხადებთ მთავრობას უნდობლობას და არ ვაძლევთ სალდათსა და ხარკს, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული შემდეგი მოთხოვნილებანი:

სალდათობის შესახებ:

1) მუდმივ ჯარის მოსპობამდე ორის წლის სამსახური სალდათისა. 2) სალდათების თავის სამშობლოში დატოვება. 3) განთავისუფლება სალდათებისა პოლიციის სამსახურიდან. 4) განთავისუფლება ვადა-გასულ სალდათებისა და აგრეთვე სათადარიგო იმ ჯარის-კაცთა, რომელნიც ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში გაუწვევიათ სამსახურში.

ხარკის შესახებ:

1) მოხსნა გაძლიერებულ დაცვისა და სამხედრო წეს-რიგისა. 2) უკანვე გაწვევა იმ ჯარებისა და კაზაკებისა, რომლებიც ხალხის მოძრაობის ჩასაქრობად კავკასიაში მოუყვანიათ. 3) მოწვევა დამფუძნებელ კრებისა: საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და საიდუმლო კენჭის ყრით. 4) თავისუფლება: კრებისა, გაფიცვისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კავშირისა. ხელშეუხებლობა პირადობისა და ბინისა, სრული ამნისტია ყველა პოლიტიკურ და რელიგიურ დამნაშავეებისა.

27 ოქტომბერი. დაჭრილ ჯარის კაცებიდან თითო-ოროლა ყოველ დღე კვდება. შიშისაგან დამფრთხალი და დამალული სტრაჟნიკები და კაზაკები ყოველდღე მოჰყავთ ოზურგეთში სოფლელებს—ზოგი დაჭრილი და ზოგი ცოცხალი, უიარაღოდ. დატყვევებული თარჯიმანი ანთაძე, ჩოხატაურის ბოქაული და ჯარის-კაცები ხალხმა გაანთავისუფლა. სიმშვიდეა; ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

29 ოქტომბერი. ოზურგეთში მოვიდა ჩოხატაურის გზით ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი. ხმები გავრცელდა, ჯარები მოდის ალიხანოვის წინამძღოლობითო.

30 ოქტომბერი. გუბერნატორი მოედანზე დაესწრო მანიფესტის წაკითხვას. ჯარსა და ხალხს მიულოცა ახალი ცვლილებანი სახელმწიფოში... ამავე დღეს წავიდა ქალაქიდან და ღამე ნაგომარში ხალხის წარმომადგენლებს ელაპარაკა. აღუთქვა ყოველივე დახმარება, თუ ხალხიც წესიერად მოიქცევაო. აქედან გუბერნატორი ქუთაისისაკენ წავიდა, რადგანაც საჩქაროდ დეპეშა მიიღო. გაზეთები მივიღეთ. სხვადასხვა ქალაქებში მომხდარმა ამბებმა დიდი გავლენა იქონია.

31 ოქტომბერი. გაზეთები აღარ მიგვიღია. არავითარი ცნობები არ მოდის. პოლიციამ სამხედრო წესების შემოღება გამოაცხადა. ღამით ყაზარმასთან ვიღაცამ თოფი სამჯერ გაისროლა. აფიცერმა და ჯარის კაცებმა ბაზარში ჩამოირბინეს და მაღაზიებს ჩხრეკა დაუწყეს. როგორც შემდეგ დამტკიცდა, თოფი მთვრალ ურიადნიკს უსროლია.

3 ნოემბერი. პოლიციელებმა გაჩხრიკეს ფოსტის მოხელის გოგიტიძის სახლი და კარმიდამო. პოლიციას ცნობა ჰქონდა, ვითომც გოგიტიძის სახლიდენ ხვრელი გაჰყავთ, რომ ყაზარმები ააფეთქონო, რაც ტყუილი, გამოდგა, რასაკვირველია.

სამხედრო წესების მოხსნამ და ჯარების შეჩერებამ ყველა გაახარა და აღელვებული ხალხი დააწყნარა...

ჭინკაი.

პოლონეთის ამბები

პოლონეთიდან „ნოვ. ჟიზნს" ატყობინებენ: „სამხედრო წესების გამოცხადებამ პოლონეთი ყალხზე დააყენა. ახლანდელი ჟამი პოლონეთის მუშა ხალხისთვის მეტად სერიოზულია, ორში ერთი: ან ახლავე უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე და ბრძოლით მოიპოვოს თავისუფლება, ან—დროებით დაემორჩილოს სასტიკ თვითნებობას და ძალმომრეობას, შეიარაღდეს, შეიკუმშოს და რუსეთის მუშა ხალხთან ერთად „ჩვენის და თქვენი თავისუფლებისათვის" საუკუნო ულღის მტერებს შეუდგეს. მთავრობასაც ესმის, რომ შეიძლება მთელმა პოლონეთმა იარაღს მოჰკიდოს ხელი. ადვილი შესაძლებელია, რომ საერთო აჯანყება მოხდეს. მთავრობას ესმის ეს და, თითქო მარტო თავის იმედი არა აქვსო, გერმანიას სთხოვს დახმარებას. ამბობენ, საზღვარზე გერმანიამ ჯარი მოაგროვაო. მთელ პოლონეთში ჯარი გაბატონდა. სოფლები და ქალაქები ჯარების ხელშია. რკინის გზებზე ყველგან ჯარია. პოლონეთის პროლეტარიატი რუსეთისკენ იცქირება, რუსეთის პროლეტარიატს შეჰყურებს და იმედი აქვს, რომ რუსეთის პროლეტარიატი ნებას არ მისცემს მთავრობას, რომ რუსეთისა და პოლონეთის პროლეტარიატის მიერ მოპოვებული თავისუფლება პოლონელებს წაართვან. იგი ელის და მისი გადაწყვეტა რუსეთის პროლეტარიატზეა დამოკიდებული. მთელი პოლონეთი—ქალაქები, სოფლები, მუშები, გლეხები და სხვადასხვა საზოგადოებანი აუარებელ დეპეშებს უგზავნიან ვიტტეს და პოლონეთისთვის ავტონომიას თხოულობენ, მაგრამ გენ.-გუბერნატორის ბრძანებით ამ დეპეშებს ვიტტეს არ უგზავნიან.

◆ 1 ნოემბერს, პეტერბურგში, მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებაზე, დაესწრო პოლონელ მუშათა დეპუტაცია, რომელმაც შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ამხანაგებო! როცა რუსეთის პროლეტარიატმა და მუშა ხალხმა პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადა, მას მთელი პოლონეთის პროლეტარიატიც მიემხრო. მან დაიფიცა, რომ მანამდის არ დაჰყრის იარაღს, სანამ იმის მოთხოვნილებას არ შეასრულებენ. რუსეთის პროლეტარიატი იძულებული იყო დროებით შეეჩერებინა ბრძოლა, მაგრამ პოლონეთის პროლეტარიატის მდგომარეობა ათასჯერ უფრო ცუდი იყო. ეკონომიურ უღლის გარდა პოლონეთის პროლეტარიატს კისერზე აწევს პოლიტიკური უღელი და მთავრობის საზიზღარი, გარუსების პოლიტიკა. 17 ოქტომბრის მანიფესტმა არაფერი მისცა პოლონეთის პროლეტარიატს და ამიტომ მას არ უნდა და არც შეუძლიან ბრძოლაზე ხელი აიღოს. პოლონეთის პროლეტარიატს ბრალსა სდებენ, ვითომ მას ავტონომია, რუსეთისგან განცალკევება უნდა. ეს ტყუილია. პოლონეთს განცალკევება არ უნდა. ჩვენ გვინდა მხოლოდ ავტონომია, რაიცა ნიშნავს მშობლიურ ენაზე ლაპარაკისა, საკუთარ კოლების გახსნისა და თვითმმართველობის უფლებას. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ საერთო მტერთან—მთავრობასთან და კაპიტალთან საბრძოლველად საჭიროა რუსეთისა და პოლონეთის პროლეტარიატის შეერთება, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ჩვენს მშვიდობიან ბრძოლას იმით გასცა პასუხი, რომ უკვე მოპოვებული უფლებანი უკანვე წაგვართვა და მთელ პოლონეთში სამხედრო წესები გამოაცხადა. მე აქ იმიტომ მოვედი, რომ მივმართო და შველა ვთხოვო რუსეთის ხალხს და მხოლოდ რუსეთის ხალხს, და არა მთავრობას".

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

8 ნოემბერი.

მოსკოვი, 8. მუშები საქმეს უბრუნდებიან. რკინის გზებზე წესიერი მუშაობაა. რკინის გზის მუშებს მრავალი დეპეშები მოსდით სხვადასხვა კუთხეებიდან, რომლითაც ურჩევენ, მუშაობა განაგრძეთ, სამშობლოს მტრებს არ გაახაროთო.

პეტერბურგი, 6. პეტერბურგის საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა კრებამ, სახალხო განმანათლებელ მინისტრის თავმჯდომარეობით, განიხილა პედაგოგიურ საბჭოთა მოქმედების საკითხი. მინისტრი დაჰპირდა მათ უფლებების გაფართოვებას. საკითხი შესახებ დირექტორისა და ინსპექტორის არჩევნებისა არ გაიდა, რადგან თვით მასწავლებლები იყვნენ ამის წინააღმდეგი. უნივერსიტეტის ახალ წესდების პროექტი გაეგზავნათ უნივერსიტეტების საბჭოთ, მათის აზრის გასაგებად. საბჭოთ თავიანთი აზრი დეკემბრის ბოლო რიცხვებში უნდა წარმოადგინონ. მაშინ მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგება კრება და წესდებას საბოლოოდ შეიმუშავებენ. სტამბები მუშაობენ, გაზეთები ხვალ გამოვლენ.

ტაგანროგი, 8. ქარხნების მუშათა შორის მღელვარებამ იკლო. მუშაობას უბრუნდებიან.

ჩერნიგოვი, 8. გენერალ-ადიუტანტმა დუბასოვმა ჩერნიგოვში ორი დღე დაჰყო და გუშინ მაზრებში გაემგზავრა. უწესოებანი მოისპო.

მოსკოვი, 6. ერობის მოღვაწეთა კრებაზე კამათი იყო იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება იქონიონ გრაფ ვიტტეს მთავრობასთან. ორატორთა უმეტესობის ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ მთავრობას ნდობა უნდა გამოეცხადოს. მათ შორის ევგენი ტრუბეცკოი და პეტერბურგის წარმომადგენელი კრასოვსკი ამტკიცებდნენ, რომ ნდობა მთავრობისადმი და მხარის დაჭერა—ერთად-ერთი გზაა უწესოებათა მოსასპობლად და 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად რეფორმების განსახორციელებლად.

გლეხების კრებაზე მონაწილეობას იღებენ მომეტებულად საერობო მოსამსახურენი: ექიმები, აგრონომები, სტატისტიკები, ჟურნალისტები და ვექილები. გლეხები ძალიან ცოტანი არიან. კრების ბიუროში სულ ინტელიგენტები არიან. გლეხებს შორის ორატორები სულ ქალაქის მცხოვრებნი და ფაბრიკებში მოსამსახურენი არიან.

კოსტრომა, 7. გუშინ კონსტიტუციონურ პარტიის წარმომადგენელთა კრებამ გარდასწყვიტა, მიემხროს ერობისა და ქალაქების წარმომადგენლებს, ე. ი. გამოეცხადოს ნდობა გრაფ ვიტტეს მთავრობას.

მოსკოვი, 8. გარდაიცვალა გენერალი შანავსკი, რომელმაც ქალაქს შესწირა შენობა სახალხო უნივერსიტეტისათვის.

ნოვოროსიისკი, 8. გაიფიცნენ ნავთსადგურის დამტვირთველნი—დღიური მუშები. ისინი თხოულობენ არტელების გაუქმებას.

ვარშავა, 7. ყველა ქარხნებში მუშაობა დაიწყო; გარდა რკინის მკეთებელ ქარხნებისა აქ მუშებსა და პატრონებს დავა აქვთ გაფიცვის დროს ფულის გადახდის შესახებ.

ზლატოუსტი, 8. ქალაქის საბჭომ მიიღო წინადადება მილიციის დაარსების შესახებ.

პარიზი, 8. „ლიბერტე"-ს აზრით, რუსის ლიბერალები უნდა ხედავდნენ ვიტტეს განზრახვებს და პოლონეთის საკითხის გარდაწყვეტა სახელმწიფო საბჭოს უნდა მიანდონ.

პეტერბურგი. „ნოვოსტი" იუწყება, რომ დაარსებული იქნება მეცნიერებისა და ხელოვნების სამინისტრო, რომელსაც სახალხო განმანათლებელ სამინისტროსთან არავითარი დამოკიდებულება არ ექნება.

კიევი, 7. ქალაქის მთავრამა მოსკოვის გრადონაჩალნიკს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: კიევის ქალაქის საბჭოს მანდობილობით, გთხოვთ, განკარგულება მოახდინოთ და გამოუცხადოთ ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა კრებას და ამ კრებაზე მონაწილეობის მიმღებ კიევის ხმოსნებს, რომ კიევის საბჭოს ამ ხმოსნებისთვის არავითარი ვექილობა არ მიუცია კრებაზე მონაწილეობის მიღების შესახებ და რომ კიევის ქალაქის საბჭო არ თანაუგრძნობს კრების მიმართულებას.

ეკატერინბურგი, 7. საბჭომ ერთხმად დაადგინა, მოსთხოვოს მთავრობას პოლიტიკურ დამნაშავეთა სრული ამნისტია, გადადოს 500 მანათი ამგვარ დამნაშავეთა დასახმარებლად და ამ გვარივე მიზნით ხმოსანთა შორის გამართოს ხელის მოწერა.

ტოკიო, 7. რუსის სატრანსპორტო გემებზე უწესოებანი მოისპო. გემი „ტამბოვი" უკვე წავიდა. ადმირალი როჟესტვენსკი „იაროსლავლ"-ზე გადავიდა.

დონის როსტოვი, 8. გუშინ ასმოლოვის ქარხანასთან მუშებსა და კაზაკებს შორის შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა ათი კაცი.

ვარშავა, 8. ნება დართულია ვარშავის უნივერსიტეტში დაუყოვნებლივ დაარსონ პოლონურ ენისა და პოლონურ ლიტერატურის პროფესორისა და პოლონურ ენის ლექტორის თანამდებობანი.

მიტავა, 7. გუშინ აუცში პოლიციის ნებადაურთველად შესდგა სახალხო მიტინგი. მოვიდნენ ჯარის კაცები და, რადგანაც ხალხი არ დაიშალა, თოფის სროლა დაუწყეს. დაიჭრა 8 კაცი.

კრემენჩუგი, 8. აგრარული მოძრაობა თანდათან ძლიერდება.

სარატოვი, 8. აგრარული მოძრაობა კუზნეცკის მაზრასაც მოედო. გლეხებმა გადასწვეს ეკონომიები სოფლებ არაშასა და ნეხლიუდოვკაში და ერთი არეის სახლი. მაზრებში დადიან აგიტატორები სამხედრო ტანისამოსებში, ხალხს ერთად თავს უყრიან და უკითხავენ ოქროს ჩარჩოში ჩასმულს ხელმწიფის უქაზს, რომელიც ვითომ გლეხებს ნებას აძლევს, მემამულეთ ხორბალი წაართვან. გლეხებს ბეღლებიდან ხორბალი მიაქვთ და შენობებს ცეცხლს უკიდებენ. რამდენიმე მკვლელობაც მოხდა.

პეტერბურგი, 8. სოსნოვიცკისა და დამბროვსკის მაზრებში ყველა ფაბრიკებმა და ქარხნებმა მუშაობა დაიწყეს.

პეტერბურგი, 8. „ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე „ნოვოე ვრემია"-ს სტამბაში მივიდა 100 მუშა და, მუშათა დეპუტატების საბჭოს კომიტეტის ბრძანებით, განიზრახეს სტამბაში დაებეჭდათ „მუშათა დეპუტატების საბჭოს ცნობების" მეშვიდე ნომერი. სტამბის გამგე და მოსამსახურენი დაატუსაღეს და შეუდგნენ მანქანაზე ბეჭდვას. სტამბის ყველა შესავალში შეიარაღებული მუშები იდგნენ. ვინც სტამბაში მივიდოდა, ყველას ატუსაღებდნენ. ბეჭდვა გაათავეს დილის 10 საათზე. დაბეჭდილი გაზეთის ფურცლები კტლებით წაიღეს. პოლიციამ ეს ამბავი მხოლოდ მეორე დღეს გაიგო.

ვარშავის რკინის გზის სადგურ პსკოვის 80 მოსამსახურემ „ნოვოე ვრემია"-ში დაბეჭდა წერილი რედაქციის მიმართ, სადაც პროტესტს უცხადებენ კავშირთა კავშირს, რომელმაც, მათის აზრით, სახელმწიფო დიდ საქმეების გადაწყვეტაში დროებითი მთავრობის დიქტატურული უფლებანი მიითვისა.

„რუსი" ამბობს, უკანასკნელ გაფიცვას მოუხერხებლობამ ნათლად დაამტკიცა, რომ მუშების მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ძალა, თუ საზოგადოება და ხალხი მათ მხარს დაუჭერსო. ჰენრიხ სენკევიჩი რედაქციის მიმართ წერილში სწერს, პოლონეთის ხალხს იარაღით ხელში აჯანყება აზრადაც არა აქვსო.

პეტერბურგი, 8. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში სამხედრო-საზღვაო სასამართლო სევასტოპოლში გაარჩევს ჯავშნოსან „კნიაზ პოტემკინ"-ზე მომხდარ აჯანყების საქმეს. სასამართლოში მიცემულნი არიან ორმოცდა-ათზე მეტი მატროსი, პრაპორჩიკი ალექსეევი, ექიმი გალენკო, პოდპორუჩიკი კალიუჟნევი და სხვები.

პეტერბურგის ქალაქის მთავრავი იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინაო, რომ, ქალაქის ტელეფონის სადგურზე თუ კიდევ გაიფიცნენ, მოსამსახურენი დაითხოვონ, ქალაქთან ხელშეკრულობა დაარღვიონ და ტელეფონი ხაზინამ ჩამოართვასო.

სიზრანი, 8. დღეს ბრძოლის ველიდან დაბრუნდა სახლში დაბრუნებულ მეზღვაურთა პირველი პარტია. მეზღვაურნი უწესოებას ახდენენ. სადგურის დასაცველად ჯარი გამოიწვიეს.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ნოემბერი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94, 75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	85¾
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½ შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	82
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	440
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	330
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	270
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	185
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	9950.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

დაიწყო ხელის-მოწერა

რუსულ ჟურნალ „Вѣстникъ Донскаго Отдѣла Императорскаго Россійскаго О ва садоводства"-ზე ჟურნალში ირკვევა საკითხები მებაღეობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა, მეფუტკრეობისა და მცენარეთა მოშენების შესახებ. წელიწადში გამოვა 12 წიგნი. ფასი ორი მანათი. ხელის მომწერლებს პრემიად მიეცემათ სამი სურათი, იაჩევსკისაგან დახატული. პრემიის გასაგზავნი 40 კ. ადრესი: ნოვოჩერკასკი, იამსკი ქუჩა, № 11. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 10 ნოემბერსს გაწმენდილი იქნება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ დიდუბეს, კუკიას, ჩუღურეთს, ვორონცოვის გზატკეცილს, ხარფუხსა და მტკვრის მარჯვენა მხარეს გოლოვინის პროსპექტამდის; კვირას, 13 ნოემბერს, საღამოზე გაიწმინდება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ მტკვრის მარჯვენა მხარეს: მთის კალთებზე გაშენებულ ნაწილს, გოლოვინის პროსპექტსა და განოვის ქუჩის ზევით, ოლგინისა, წყნეთისა და ახლო-მახლო ქუჩებს და მამადავითისა და ემალლების მოედნებს, ავლაბარსა და ნავთლუღს. **ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ წინდაწინვე შეინახონ წყალი.** (3—6.—2,

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.